ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 31 აგვისტო, 2017 №206 (7441) ფასი: 50 თეთრი



გვ.2

ჯეჯელავას სამინისტრომ მივლინებებში 120.283 ლარი დახარჯა

31 აგვისტოდან




ალექსანდრე იასაღაშვილი

შავი ვარდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# რა ქონებას ფლობს საქართველოს პრეზიდენტი



გვ.5

გასულ წელს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის შემოსავალმა 82.800 ლარი შეადგინა. დუშეთში მან გასულ წელს 10 ათას ლარად შეფასებული სახლი აიშენა.

## „გიორგი კვირიკაშვილზე ზეწოლა ხორციელდება“





გვ.3

ნიკოლოზ მჟავანაძე: „ნაცები სადაც ორსული ქალის მოკვლას გეგმავდნენ, იქ ხანძარს რატომ ვერ გააჩენდნენ“

## მამუკა არეშიძე: „რუსეთისთვის დახმარების თხოვნა ამორალური იყო“

„ეს ხანძრები დივერსიის შედეგია“



გვ.4



სავაჭრო ცენტრების თუ ბაზრობების გადაწვა, რომელიც სპეციალურად მოხდა თუ შემთხვევით, ეს მაინც ცალკე თემა უნდა იყოს. ეს არის შიდა გარჩევების შედეგი.

## ცხინვალში რუს სამხედროებს ეკლესიას უშენებენ

გვ.2







## ქართული ფრინველის ხორცი 10 თეთრით გაძვირდება



გვ.6

ISSN 1987-9385

# ცხინვალში რუს სამხედროებს ეკლესიას უშენებენ

შორენა მარსაგიშვილი

**რუსეთის მომხრეები გამუდმებით აპელირებენ ჩვენი ავი მეზობლის ერთმორწმუნეობაზე. მეტი ეფექტის მოსახდენად იმასაც გვეუბნებიან, რომ რუსეთის საპატრიარქო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს და, საეროსგან განსხვავებით, არც ცხინვალის და არც სოხუმის დამოუკიდებლობას არ ცნობს.**







ამ განცხადების პარალელურად რუსეთის პატრიარქი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში აქტიურად აგზავნის მისიონერებს. ახალი ათონის მონასტერში თავად პატრიარქმა კირილმა დანიშნა ტაძრის წინამძღოლი, რაც აფხაზური ეკლესიის გახლეჩით დასრულდა.

აფხაზეთის სრულად ათვისების შემდეგ, რუსეთის საპატრიარქო სამაჩაბლოთიც დაინტერესდა. რამდენიმე თვის წინ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის „დამცველმა" პატრიარქმა კირილმა ანატოლი ბიბილოვს გაპრეზიდენტება მიულოცა და ლოცვა-კურთხევაც მიაყოლა, ცოტა ხნის წინ კი ის კაცი თავის რეზიდენციაში მიიღო.

ამ შეხვედრის საუბრის მთავარი თემა ცხინვალში რუსული ეკლესიის მშენებლობა იყო. აღსანიშნავია, რომ ამ ეკლესიის მშენებლობა გასულ წელს დაიწყო.

ეტყობა, რუსეთის საპატრიარქოსთვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ოსური მედიის ცნობით, ცხინვალში რუსული ეკლესიის მშენებლობა ოქტომბრის ბოლოს დასრულდება.

სწორედ ამ თემაზე სასაუბროდ ჩავიდა ცხინვალში ვლადიკავკაზის და ალანიის ეპისკოპოსი ლეონიდე. ადგილობრივი მედიის ცნობით, მას ანატოლი ბიბილოვმა უმასპინძლა.

ეპისკოპოსმა მადლობა გამოთქვა იმის გამო, რომ ტაძრის მშენებლობა სწრაფ ტემპებში მიმდინარეობს.

ბიბილოვისა და ალანიის ეპისკოპოსის შეხვედრიდან გაირკვა, რომ ეს ტაძარი უფრო ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი რუსი სამხედროებისთვის შენდება.

– ეს ტაძარი ძირითადად 58-ე არმიის მებრძოლებისთვის შენდება. იქ ივლიან რუსი მესაზღვრეები, სამხედრო მოსამსახურეები. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტაძრის მოლოცვის საშუალება სხვებს არ მიეცემა. ტაძრის კარები სამხრეთ ოსეთის ნებისმიერი მოქალაქისთვის ღია იქნება, – მოწყალება გაიღო ალანიის ეპისკოპოსმა.

ეპისკოპოსის თავის მოსაწონებლად რწმენაზე ჩამოაგდო საუბარი ბიბილოვმაც. რუსეთის არმიის თადარიგის ოფიცერმა სიამაყით განაცხადა, რომ მათი კონსტიტუციით მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად არის გამოცხადებული.

ბიბილოვს იმაზეც აუჩუყდა გული, რომ რუსეთსა და ცხინვალს სწორედ მართლმადიდებლობა აერთიანებს.

– ჩვენ გვჯერა, რომ რწმენით და ღვთის წყალობით ვივლით წინ, – აღნიშნა ცხინვალის ლიდერმა.

რუსი სამხედროებისთვის აშენებულ ეკლესიაში ალბათ რუსი სასულიერო პირი აღავლენს წირვას. საინტერესოა, რაზე იქადაგებს „ერთმორწმუნე" სასულიერო პირი ან რა სინდისით აკურთხებს სხვისი მიწის ოკუპაციას. თუმცა, ეტყობა, ამათ რწმენაში ასეთი რაღაცები მოსულა.

# ჯეჯელავას სამინისტრომ მივლინებებში 120.283 ლარი დახარჯა

**განათლების სისტემაში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასა და თანამდებობის პირებისთვის გაცემული პრემიებისა და დანამატების შესახებ საუბრობს „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის" ხელმძღვანელი დავით ფერაძე.**





– საგანმანათლებლო კოლაფსის პარალელურად, განათლების სისტემის ოფიციალურ სტრუქტურებში კვლავ მზარდია საბიუჯეტო თანხების ხარჯვა. არ წყდება დაუსაბუთებელი პრემიებისა და დანამატების გაცემა. თანამდებობის პირებზე გაცემული ანაზღაურება საჯარო მოხელის საშუალო ანაზღაურების ხუთ და ექვსმაგ ოდენობას, ხოლო პედაგოგის საბაზო ხელფასის თერთმეტმაგ ოდენობას შეადგენს.

ჯეჯელავას ბიუროკრატიულ უწყებას 2017 წლის აგვისტომდე ბიუჯეტიდან დახარჯული აქვს შემდეგი ოდენობის თანხა:

სამინისტროს მხოლოდ თანამდებობის პირებზე ანაზღაურების სახით გაცემულია 977.950 ლარი, აქედან დაუსაბუთებელი პრემია-დანამატია 408.284 ლარი; მთლიანად სამინისტროს თანამშრომლებზე კი გახარჯულია 2.637.582 ლარის ანაზღაურება და აქედან დაუსაბუთებელი პრემია-დანამატი 761.541 ლარია. სამინისტრომ მივლინებაში დახარჯა 120.283 ლარი.

შემაშფოთებლად გამოიყურება სამინისტროს მიერ საქონლის, მომსახურებისა და სხვა შესყიდვებში გაწერილი და გახარჯული ფინანსები. 2017 წლის აგვისტომდე ეს თანხა, უხეში გაანგარიშებით 10 მილიონი ლარის ფარგლებშია. უამრავთაგან მხოლოდ ზოგიერთს მოვიყვანთ საილუსტრაციოდ: განათლების სამინისტროს შენობის ცენტრალური ფლიგელის სარეაბილიტაციოდ შესყიდვის თანხამ 197.750 ლარი შეადგინა; „ჯეოსელისგან" შესყიდული აქვთ 30.000 ლარის სასაუბრო დრო; სამინისტროს 4 იანვარს 90 ცალი მაჯის საათი შეუსყიდია, რაზეც 24.999 ლარის თანხა გამოუყვია. თუმცა საკასო შესრულებაში ეს თანხა არა მითითებული. საკასო შესრულებაში არ ფიქსირდება ასევე 26.392 ლარი, რომელიც ფარდებისა და ჟალუზების შესყიდვისთვისაა გამოყოფილი;

განათლების სამინისტრომ ინტერნეტ-საკანონმდებლო მაცნეში ნორმატიული აქტების გამოქვეყნება 24.222 ლარად შეისყიდა; სატელევიზიო მომსახურებაში გადაიხადა 4.800 ლარი, მედიამონიტორინგში – 8.400 ლარი. ამიტომაა, რომ ზოგიერთ ტელევიზიასა და ინტერნეტ თუ ბეჭდურ გაზეთში ჯეჯელავას უწყების კრიტიკას ვერ ნახავთ. მაგალითისთვის: პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის (პსც) მიერ, სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე უამრავჯერ გავრცელებული მიმართვიდან არცერთი არ ხვდება საგანმანათლებლო პროფილის პრეტენზიის მქონე ისეთ პორტალზე, როგორიცაა „ედუ.არის.გე". სამაგიეროდ, ეს პორტალი ჯეჯელავას ყოველ ამოსუნთქვას ასაჯაროებს. მათ ძალიან კარგად იციან, რომ მთელ საგანმანათლებლო სივრცეში ყველაზე ობიექტურობით, ყველაზე პოპულარობით და ნდობით, სწორედ პსც გამოირჩევა, მაგრამ, როგორც ჩანს, შეგნებულად ბლოკავენ ინფორმაციას.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუროკრატიულ მფლანგველობასთან ერთად საზოგადოებისთვის გავასაჯაროვებთ კიდევ ორი სტრუქტურის შესახებ ინფორმაციას.

2017 წლის აგვისტომდე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორზე გაცემულია 5.757 ლარის პრემია, სულ ამ ცენტრის თანამშრომლებზე გაცემულია 283.755 ლარის პრემია; ცენტრის სამივლინებო ხარჯმა – 20.747 ლარი, ხოლო საკომუნიკაციო ხარჯმა 10.527 ლარი შეადგინა. საწვავში გახარჯულია 31.729 ლარი, ტექმომსახურებაში 10.235 ლარი, შესყიდვებში: 415.915 ლარი.

საკმაო მადით და უხვი ხარჯებითაა გამორჩეული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი, პოლიტიკური რეპრესიების ორგანიზებაში, ნეპოტიზმსა და კორუფციაში ჩვენ მიერ არაერთგზის მხილებული თამარ სანიკიძე. სამწუხაროა, რომ სამართლიანი სასჯელის ნაცვლად ეს ქალბატონი კვლავ აგრძელებს ბიუჯეტის ფლანგვას და იმის ნაცვლად, რომ ციხეში იყოს გამოკეტილი, როგორც საკმაოდ სახიფათო პიროვნება, უცხოურ ვოიაჟებსაც არ იკლებს.

2017 წელს ცენტრის სამ თანამდებობის პირზე გაცემულმა ანაზღაურებამ უკვე შეადგინა 51.352 ლარი, აქედან დანამატის სახით გაცემულია 10.337 ლარის. მარტო თამარ სანიკიძემ 26.465 ლარი მიიღო ბიუჯეტიდან.

მთლიანად ცენტრის თანამშრომლებზე გაცემულია 1.857.311 ლარის ანაზღაურება, აქედან 124.206 ლარი დაუსაბუთებელი პრემია-დანამატია. ცენტრის სატელეფონო ხარჯი 3.396 ლარს შეადგენს, ხოლო სამივლინებო ხარჯი 83.602 ლარის ოდენობისაა. აქედან მხოლოდ თამარ სანიკიძემ 4.682 ლარი დახარჯა ქვეყნის გარეთ სირბილში.

პსც ცდილობს დააზუსტოს ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ქუდში" მყოფი სხვა საჯარო დაწესებულებების ფინანსური ხარჯების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ვთვლით შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის და ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფინანსური საქმიანობის გასაჯაროებას, მაგრამ ეს ორი უწყება კანონდარღვევით თავს არიდებს პსც-სთან ურთიერთობას. თუ უახლოეს ხანში კომუნიკაციის კრიზის გაგრძელდება, შესაძლოა, განვიხილოთ მათ წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანაც, – აცხადებს დავით ფერაძე.

## ლევან ბეჟაშვილი: „ცესკო-ს ვებგვერდზე 67 არარსებული კორპუსია მითითებული"

ნაციონალური მოძრაობა ცესკო-ს არჩევნების გაყალბების მცდელობაში ადანაშაულებს. როგორც ლევან ბეჟაშვილმა განაცხადა, ცეესკო-ს მიერ ვებგვერდზე ატვირთული საარჩევნო ოლქის საზღვრების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა, სადაც 67 არარსებული კორპუსია მითითებული.– ცენტრალური საარჩევნო კომისია და ხელისუფლება დიღმის მასივში სკვერების ადგილას ხედავს კორპუსებს. ჩვენი დამკვირვებლებისა და წარმომადგენლების მიერ გამოვლენილი იქნა ფაქტი, როდესაც დიღმის მასივში არარსებული, მოჩვენება კორპუსები არსებობს.



არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ კორპუსების გამოყენება საარჩევნო მანიპულაციებისა და გაყალბებისთვის. ეს პირდაპირი პასუხისმგებლობა არის იუსტიციის სამინისტროსი, რომელიც საჯარო რეესტრს ითავსებს და ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის, – განაცხადა ლევან ბეჟაშვილმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გიორგი კვირიკაშვილზე ზეწოლა ხორციელდება“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ნაცები სადაც ორსული ქალის მოკვლას გეგმავდნენ, იქ ხანძარს რატომ ვერ გააჩენდნენ“

შორენა მარსაგიშვილი

უნდა მიგვეღო თუ არა რუსეთის დახმარება, ვისი ან რისი შეეშინდა ხელისუფლებას, რა წერილი გაიგზავნა ამერიკაში, ცეკვავს თუ არა ხელისუფლება ნაცების დაკრულზე? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

***– საქართველოში ხანძრების ლოკალიზება ვერ ხერხდება. ერთ-ერთი ვერსიით, საქმე გვაქვს რუსულ დივერსიასთან. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

– ვინ ავითარებს ამ ვერსიას, ნაციონალები? ყოფილმა ხელისუფლებამ შემოიტანა ეს კლიშე და ყველაფერზე გაიძახის, რუსეთი, რუსეთიო. მათი ლოგიკით ოჯახური ღირებულებების დაცვა, პატრიოტიზმი, ერთსქესიანთა ქორწინების გაპროტესტება ყველაფერი რუსული პროექტია. რუსეთიდან მართულ პროცესად ითვლება ასევე ეკლესიის დაცვა.

ეს ხალხი იმდენად გონებაშეზღუდულია, რომ დახმარებაზე ამბობენ უარს. დახმარებაზე შეიძლება თქვა უარი, მაგრამ დროს ხომ გააჩნია. ქვეყანა ცეცხლის ალში იყო გახვეული და რუსულ დახმარებას არ მივიღებთო, გაიძახოდნენ. ზოგჯერ მგონია, რომ ქვეყანა კი არა, ფსიქიატრიული საავადმყოფო ვართ.

ხანძრების გაჩენის ვერსიას დავუბრუნდები და ხელისუფლებას არსად არ უთქვამს, რომ ეს დივერსიაა. პირადად მე მიმაჩნია, რომ მართლაც დივერსიასთან გვაქვს საქმე. ასე ერთდროულად ყველაფერს ცეცხლი თავისით არ გაუჩნდებოდა.

თავის დროზე ჩვენ ყველამ მოვისმინეთ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების სატელეფონო საუბრების ჩანაწერები. იქ სააკაშვილი გვარამიას ორსული ქალის მოკვლის დავალებას აძლევს. სადაც ორსული ქალის მოკვლაზე მიდიოდნენ, იქ რომ ტყეები გადაწვან, რა გასაკვირია?! ეს უფრო შიდა მტრების გაკეთებული მგონია, თუმცა არაფერი გამორიცხული არ არის.

***– გამოდის, რომ რუსულ დივერსიას არც თქვენ გამორიცხავთ?***

– მე ვამბობ, რომ არაფერი არ არის გამორიცხული. ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. ამ საქმის გამოძიება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ქვეყნისთვის ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლება ნაციონალების ტყვეობისაგან გათავისუფლდეს.

ყოფილი ხელისუფლება ახლა ბოლო ხმაზე რომ გაჰკივის, რუსული დახმარება არ უნდა მივიღოთო, თავად რატომ სთხოვეს რუსებს დახმარება.

***– როდის სთხოვეს თავად რუსებს დახმარება?***

– 2006 წელს აბასთუმანში ათობით ჰექტარი ტყე დაიწვა. ნაციონალების ხელისუფლებამ ხანძარი რუსების დახმარებით ჩააქრო.

***– ეს 2006 წელი იყო, მაშინ მოსკოვს აფხაზეთი და სამაჩაბლო ჯერ არ ჰქონდა აღიარებული.***

– აღიარებული არ ჰქონდა, მაგრამ ეს ტერიტორიები ხომ უკვე რუსეთს ჰქონდა ოკუპირებული – საქართველო ამ ტერიტორიებს ვეღარ აკონტროლებდა. 2008 წლის ომის შემდეგ ნაციონალები და პირადად სააკაშვილი ცდილობდა, რომ მოსკოვში გაეგზავნა ქართველი მომღერლები და მოცეკვავეები. მაშინ არ იყო რუსეთი ოკუპანტი?

არ უარვყოფ, რომ რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ ამ ჩიხიდან გამოსავალი ხომ უნდა მოიძებნოს. ეს რუსეთთან მოლაპარაკებების გარეშე არ მოხდება. ამით პირველ რიგში ჩვენ უნდა ვიყოთ დაინტერესებული. ხდება პირიქით და ჩიხიდან გამოსვლას რუსეთი ცდილობს.

ამ ქვეყნის პირველმა პირებმა არაერთხელ მოგვიწოდეს დიალოგისკენ. მათ აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან დაკავშირებით პოზიციაც შეცვალეს. აქამდე გვეუბნებოდნენ, ამ რეალობას შეეგუეთო, ახლა ამბობენ, ყველაფერი შეიძლება მოლაპარაკებების გზით გადაწყდესო. პოზიცია აშკარად შერბილებულია.

ამის გარდა, პუტინი გამოვიდა და თქვა, საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმება მინდაო.

***– თუ უნდა, რატომ არ აუქმებს? საქართველომ რუსეთთან სავიზო რეჟიმი 2012 წლის დასაწყისში გააუქმა.***

– სავიზო რეჟიმის გაუქმება ასეთი მარტივი არ არის. მას რაღაც პროცედურები სჭირდება. ამის გარდა, საჭიროა მოლაპარაკებები.



***– სააკაშვილმა ყოველგვარი პროცედურების და მოლაპარაკებების გარეშე გააუქმა ეს რეჟიმი. პუტინს რა პროცედურების დაცვა აუტყდა.***

– როცა სააკაშვილმა ეს გადაწყვეტილება მიიღო, მოსკოვს არანაირი რეაქცია არ ჰქონია ამაზე. სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე მას შემდეგ ალაპარაკდნენ, რაც ქვეყნის სათავეში „ქართული ოცნება“ მოვიდა. ამის საპასუხოდ გამოვიდა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ქალბატონი ჩუგოშვილი და თქვა, მსგავს პროვოკაციას არ დავუშვებთო.

თქვენ როგორ გგონიათ, მის განცხადებას რუსეთში არ მოისმენდნენ? ჰოდა, მათაც აღარ გააუქმეს სავიზო რეჟიმი.

***– ჩუგოშვილის განცხადების გამო გადაიფიქრეს გაუქმება?***

– ჩუგოშვილი ამ შემთხვევაში არის ხელისუფლება. საქართველოს ხელისუფლებას არ სურს ამ რეჟიმის გაუქმება და ამიტომაც აღარავინ დაგვაძალა.

რუსეთმა ისედაც რამდენჯერმე შემოგვთავაზა დახმარება. ამ დახმარებაზე ჯერ 2015 წლის სტიქიის დროს ვთქვით უარი, ახლაც ასე მოვიქეცით.

რუსეთს სიტუაციის დალაგება უნდა. აქედან კი ძველი რიტორიკა მიდის. ნაციონალებისგან იმ განსხვავებით, რომ პუტინს ლილიპუტინს არ ეძახიან.

თავიდან გვიმტკიცებდნენ, რომ დახმარება არ უთხოვიათ რუსეთისთვის. ახლა აღიარებენ, რომ დახმარება ითხოვეს. მითხარით, აქ სად არის ლოგიკა. დახმარება ითხოვეს და მერე პრემიერმა თქვა უარი ამ დახმარებაზე. გამოდის, რომ ის ვიღაცამ აიძულა, ასე მოქცეულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში უარს არ იტყოდა, იმ მომენტისთვის ცეცხლი კიდევ უფრო გაძლიერებული იყო. აშკარაა, რომ კვირიკაშვილზე ზეწოლა ხორციელდება და მანაც ამიტომ თქვა უარი.

***– იქნება იმიტომ თქვა დახმარებაზე უარი, რომ იმ დროისთვის უკვე შემოგვთავაზეს დახმარება სომხეთმა, აზერბაიჯანმა და თურქეთმა. რუსეთს კი იმ დროს როსტოვი გადაეწვა და ძლივს ჩააქრო თავის ტერიტორიაზე ხანძარი.***

– სად გადაეწვა კაცო როსტოვი? ძალიან სწრაფად ჩააქრეს ხანძარი. რუსული ილ-76-ის ორი გადაფრენა იქნებოდა საკმარისი ამ ხანძრის ჩასაქრობად. ამ უარის გამო 100 ჰექტარზე მეტი ტყე დაგვეწვა და ჩვენი პრემიერიც ისე გამოჩნდა, როგორც არანორმალური – ჯერ დახმარება ითხოვა და მერე უარი თქვა.

მას უარი თავისი ინიციატივით არ უთქვამს და მაინტერესებს, სადამდე უნდა გაგრძელდეს ასე? ხვალ რომ რაღაც ეპიდემია გაჩნდეს, არ უნდა მივიღოთ რუსული დახმარება? ეს არის სისულელე.

დანამდვილებით ვიცი იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ წერილობით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და მათგან ითხოვა დახმარება. ამერიკისგან ამაზე არავითარი პასუხი არ ყოფილა. საქართველოს ხელისუფლება ამ წერილს ასაიდუმლოებს.

თქვენი აზრით, საქართველოს ხელისუფლება რუსეთამდე ამერიკას არ მიმართავდა თხოვნით? ასე მოიქცნენ და როცა მათგან პასუხი ვერ მიიღეს, ამის შემდეგღა მიმართეს მოსკოვს. ამერიკა მხოლოდ იმით დაგვეხმარა, რომ იან კელიმ ლოცვა აღავლინა ჩვენთვის. ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ რაღაც ფეხსაცმელი გადმოგვცეს. თავმოყვარე ქვეყანა რომ ვიყოთ, ამ ფეხსაცმელს უკან გააგზავნიდნენ. ვის რაში სჭირდება მაგათი ბათინკები.

ახლა მე ვსვამ კითხვას, რატომ არ დაგვეხმარა ხანძრის ჩაქრობაში ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი. ან სად იყო ნატო. მათაც ძალიან კარგად შეეძლოთ დახმარების გაწევა.

***– ნატოს მიმართ სამდურავი არ გვეთქმის, თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და ის დღემდე გვეხმარება ხანძრების ჩაქრობაში.***

– რას გვეხმარება. მათი ავიაცია არ არის საკმარისი. როცა ხანძარი აქვთ, დახმარებას ისინიც რუსეთს სთხოვენ. ჩვენ კი ამას ვერ ვბედავთ იმიტომ, რომ გვეშინია. ვიღაც ტვინნაღრძობებმა კრემლის აგენტები არ დაგვიძახონ.

ის ხალხი, ვინც ამბობს, რომ რუსეთის დახმარება არ უნდა მიგვეღო, არის უცხო ქვეყნის აგენტები. მათ ინტერესებში არ შედის, რომ საქართველოს და რუსეთს შორის ურთიერთობა დარეგულირდეს.

მე მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, გაასაჯაროოს ის წერილი, რომელიც წინა კვირას ამერიკის მთავრობას მისწერეს. კარგი, თუ უნდათ, დამალონ ის წერილი, მაგრამ იმაზე გააკეთონ განმარტება, მიმართეს თუ არა ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ასევე მივმართავ იმ ხალხს, ვინც იძახის, რომ რუსეთის დახმარება არ უნდა მივიღოთ, მაგათ დახმარებაზე მაშინ თქვან უარი, საკუთარი სახლები და ჯიპები რომ დაეწვებათ, ქვეყანას კი თავი გაანებონ. ეს ქვეყანა მათ არც ნარდში მოუგიათ და არც ყომარში. ჩვენი მეფეები, ოღონდ ქვეყანა გადაერჩინათ და მტერთან მიდიოდნენ მოსალაპარაკებლად. ან რომელ ღირსებაზე მელაპარაკებიან, როცა ერთი უცხო ქვეყნის ელჩის გარეშე ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ ღებულობენ.

ქვეყანა რომ გადაწვეს და რუსული დახმარება არ მიიღეს, რუსულ პროდუქციას რატომღა იღებენ? მთელი დახლები რუსული საქონლით არის გადავსებული. გააუქმონ უვიზო მიმოსვლაც და ისიც განმარტონ, რატომ არ იცავენ ოკუპაციის შესახებ კანონს.

ქობულეთში ვარ და უამრავი რუსი ტურისტი გავიცანი. თითქმის ყველა მათგანმა მითხრა, რომ რამდენიმე წლის წინ აფხაზეთში დაისვენეს, იქ არსებული სიტუაცია არ მოეწონათ და ამიტომ გადაწყვიტეს აჭარის რეგიონში დასვენება. ოკუპაციის კანონის მიხედვით კი ის, ვინც აფხაზეთში იყო საქართველოს გვერდის ავლით, აქ ვეღარ შემოვა. ეს რუს ტურისტებზე არ ვრცელდება, იმიტომ, რომ მათ ფული შემოაქვთ.



სააკაშვილმაც სავიზო რეჟიმი იმიტომ გააუქმა, რომ ტურისტები და შემოსავალი მიეღო. ამით რა გამოდის, რუსული ფული გინდა და რუსული დახმარება არა? ახლა ეს ტყეები რომ გადაიწვა, ერთი ვნახავ, ვინ ჩამოვა ბორჯომში და აბასთუმანში დასასვენებლად.

***– დარწმუნებული ხართ, რომ რუსეთი აქ სამაშველო ოპერაციას ჩაატარებდა? ყველას გვახსოვს მათი ჰუმანიტარული მისია ტყვარჩელში. რუსებმა შოიგუს მეთაურობით იქ ჰუმანიტარული დახმარების ნაცვლად შეიარაღება შეიტანეს.***

– მესმის, მაგრამ მაშინ საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა აფხაზეთში. აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთი ყველანაირად ცდილობს საქართველოსთან ურთიერთობის დალაგებას.

***– დალაგება რაში გამოიხატება, საოკუპაციო ხაზს ყოველდღე რომ სწევენ?***

– ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ რუსეთი არის იმპერია. როგორც ყველა იმპერიას, მასაც აქვს თავისი ინტერესები. მოსკოვს არ უნდა, რომ ნატო, რომელიც მის საწინააღმდეგოდ არის შექმნილი, რუსეთის საზღვრებთან მოვიდეს. მის ადგილზე რომ ამერიკა ყოფილიყო, ისიც ყველაფერს გააკეთებდა, რომ საქართველო ნატოში არ შესულიყო.

ჩვენ იმის ნაცვლად, რომ ტერიტორიების დაბრუნებაზე ვიმუშაოთ, ნატო-ნატოს გავიძახით და აქ რაკეტების განთავსებას ვაპირებთ. ამას რუსეთი არ დაუშვებს. მე ამით კრემლს კი არ ვამართლებ, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ყველა იმპერიას აქვს თავისი ინტერესები.

როცა პატარა ქვეყანა ხარ და იმპერიას ომს ვერ მოუგებ, მოლაპარაკებები უნდა გამართო. ერეკლე მეფე ამათზე დიდი პატრიოტი იყო, მაგრამ გეორგიევსკის ტრაქტატი გააფორმა. ამ ტრაქტატის გაფორმებამდე საქართველოს მოსახლეობა იყო 400.000, ამის შემდეგ კი 5 მილიონამდე ავედით. ერეკლეს მაშინ ეს ნაბიჯი რომ არ გადაედგა, ახლა საქართველო აღარ იარსებებდა.

***– ისტორიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ მან არასწორი გადაწყვეტილება მიიღო.***

– ვინც ეგრე ფიქრობს, ყველა არის ლიბერასტი და ტვინნაღრძობი. ამათ ვეკითხები, რას აპირებენ, ყარსის ხელშეკრულების 100 წლიანი ვადა რომ გავა. ამ ხელშეკრულების გარანტორი არის რუსეთი. ამ ხელშეკრულებით დაუბრუნდა საქართველოს აჭარა და გურია.

***– ამავე ხელშეკრულებით რუსეთმა თურქეთს საქართველოს ტერიტორიების საკმაოდ დიდი ნაწილი დაუტოვა.***

– ეს ტერიტორიები ისედაც წართმეული გვქონდა. აჭარა და გურია ხომ მაინც დაგვიბრუნა? ახლა უარი რომ თქვას გარანტორობაზე და ეს ტერიტორიები თურქეთმა წაიღოს, მაინტერესებს, ამას ვინ გაუწევს წინააღმდეგობას. ამერიკა ცეცხლის ჩაქრობაში არ დაგვეხმარა და თურქეთთან ომში სულ არ ამოიღებს ხმას.

***– რატომ უნდა დაგვხმარებოდა ამერიკა? მათ იმდენი ფული გამოუყვეს საქართველოს, რომ წესით კი უნდა გვეყიდა სათანადო ტექნიკა.***

– ეგ სხვა თემაა. სამაშველო ვერტმფრენები უნდა გვყავდეს, მაგრამ ასეთი მასშტაბის ხანძარს ვერტმფრენი ვერ აქრობს. ამერიკას ჰყავს სპეციალური თვითმფრინავები და ისინი გამოეგზავნა. აქ ჩამოსაფრენად ერთი დღე დასჭირდებოდა მხოლოდ. წვრთნების ჩასატარებლად და რუსეთის გასაღიზიანებლად ხომ კარგად ჩამოჰყავს საქართველოში სამხედრო ტექნიკა.

## ნიკა რურუა: „თუ დიალოგი არ შედგება, ოპოზიცია სტრასბურგში იმისთვის არ წავა, რომ კონსენსუსის ილუზია შეიქმნას“

– თუ დიალოგი არ შედგება, ოპოზიცია სტრასბურგში იმისთვის არ წავა, რომ კონსენსუსის ილუზია შეიქმნას თუ საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონსენსუსი არ შედგა, ოპოზიცია ვარაუდობს, რომ სტრასბურგში, 6 სექტემბერს დაგეგმილი შეხვედრა შესაძლოა არ შედგეს.

„დაიცავი კონსტიტუციის“ ფარგლებში საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის შეხვედრა მიმდინარეობს, სადაც მთავარი განსახილველი საკითხი სწორედ საკონსტიტუციო რეფორმებია.

როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ნიკა რურუამ ჟურნალისტებს შეხვედრის დაწყებამდე განუცხადა, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ოპოზიციასთან



დიალოგი არ შედგეს.

– ხელისუფლება ეშმაკობს, ამბობს, რომ ოპოზიცია მზად არ არის დიალოგისთვის. ყველაფერს აკეთებს, რომ დიალოგი არ შედგეს და მაშინ სტრასბურგში წასვლას აზრი არა აქვს. პასუხისმგებლობა ამაზე ხელისუფლებას ეკისრება. თუ დიალოგი არ შედგება, ოპოზიცია სტრასბურგში იმისთვის არ წავა, რომ კონსენსუსის ილუზია შეიქმნას, – განაცხადა ნიკა რურუამ.

მისივე განმარტებით, ოპოზიციის პრინციპი მკაფიოა, – 2020 წლისთვის არჩევნები ჩატარდეს პროპორციული სისტემით და ხალხმა პრეზიდენტი საკუთარი ნებით, პირდაპირი წესით აირჩიოს.

# მამუკა არეშიძე: „რუსეთისთვის დახმარების თხოვნა ამორალური იყო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე პასუხობს.

***— ბატონო მამუკა, ხანძრების თემა საქართველოს ტყეებში კვლავ აქტუალურია. ამჟამად აბასთუმანი იწვის. აქტიურად საუბრობენ დივერსიაზე. ზოგი რუსულ კვალზე საუბრობს, ზოგიც ნაციონალებს აბრალებს ყოველივეს. თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

— ასე ღიად ხელს ვერავის დავადებ, თუ ვინ შეიძლება ეს ყოფილიყო. თუ აქამდე ცოტა ეჭვი მეპარებოდა და გარკვეულ გაუფრთხილებლობას და ბუნებრივ მოვლენებსაც ვაბრალებდი და ვფიქრობდი, რომ შეიძლება ყოფილიყო კომპლექსური ამბავი, დღეს ერთმნიშვნელოვნად ვფიქრობ, რომ ეს დივერსიაა! ვფიქრობ, რომ ხელოვნურად გაკეთებულია მთელი ეს ამბავი, რაც ხდება საქართველოში.

***— ამას რა გაფიქრებინებთ?***

— ამას მიუთითებს ხანძრის კერების სხვადასხვა ადგილას წარმოქმნა და ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე სივრცეში, მაგალითად, ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში რამდენიმე ადგილას ხანძრის გაჩენა. თუნდაც იგივე აბასთუმანში.

***— ხანძრები ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებშიც ჩნდება და იქ ეს ეჭვის საფუძველი არ გამხდარა.***

— კი, ჩნდება და ჩვენ ერთი ეკოსისტემა გვაქვს, მაგრამ ასეთი ინტენსივობით არ გაჩენილა არც აზერბაიჯანში, არც სომხეთში, არც რუსეთში და არც თურქეთში, თან რამდენიმე ადგილას ერთად. მე ვფიქრობ, რომ ეს არის გარკვეული ჯგუფის მიერ მოწყობილი დივერსია საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ!

***— კონკრეტულად რომელი ჯგუფის? ვინ შეიძლება იყვნენ ისინი?***

— ამის თქმა რთულია. უკვე იმხელაა მასშტაბი, რომ შთაბეჭდილება მრჩება, ერთი ჯგუფი კი არა, რამდენიმე ჯგუფია. ეს ყველაფერი კარგად არის მოფიქრებული და გააზრებული, რომ ეს ამბავი ასეთი ინტესივობით მოხდეს. ვილაცამ იცოდა, რომ საქართველოს სახელმწიფო ასეთი მასშტაბურ ხანძრებთან საბრძოლველად მზად არ იყო და ეს მეთოდი გამოიყენა საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად.

***— ხანძრების ბუმი თბილისიდან დაიწყო, ბაზრობების თუ სავაჭრო ცენტრების გადაწვა... ეს ყველაფერი ერთმანეთთან ბმაში რამდენად შეიძლება იყოს?***

— მე მაინც ვთვლი, რომ სავაჭრო ცენტრების თუ ბაზრობების გადაწვა, რომელიც სპეციალურად მოხდა თუ შემთხვევით, ეს მაინც ცალკე თემა უნდა იყოს. ეს არის შიდა გარჩევების შედეგი.

***— ეს როგორ გავიგოთ?***

— არ არის გამორიცხული, რომ ვილაცას დასჭირდა ის ადგილი, სადაც ბაზრობა იყო განლაგებული, იმისათვის, რომ დეველოპერული პროექტი განეხორციელებინა და ამიტომ მოხდა. თანაც ბაზრობის ზოგიერთი თანამშრომელი ამბობს კიდევაც, რომ ემუქრებოდნენ ამით. ეს ალბათ სხვა ფორმატიდან არის. ხოლო ის, რაც ტყეებს შეეხება, არის პირდაპირი დივერსია სახელმწიფოს წინააღმდეგ! ისეთი მიუვალი ადგილებია, რომ იქ ადამიანი იშვიათად თუ მოხვდება. სპეციალურად არის ასეთი ადგილები შერჩეული.



***— რისთვის?***

— იმისთვის, რომ რთული ყოფილიყო ჩასაქრობად და რაც შეიძლება მასშტაბური ხასიათი მიეღო და მიიღო კიდეც. წინ რუსთავი 2-ის ჟურნალისტმა აჩვენა ერთი ეპიზოდი, რომელმაც ჩემი ეჭვი უფრო გაამძაფრა. ის ძლივძლივობით ავიდა რაღაცა მთაზე, ამბობდა კიდეც, რომ აქ ამოსვლა პრაქტიკულად შეუძლებელიაო და იქ აღმოაჩინა ხანძრის პატარა კერა. თანაც ისეთი ბუნებრივი მოცემულობა იყო, რომ იქ ის ხანძარი ვერაფრით ვერ გაჩნდებოდა თავისით. ვილაცამ გააჩინა შეგნებულად, მერე წავიდა და... თან ისეთი პატარა კერა იყო, ან როგორ შენიშნეს ქვევიდან. თუმცა ეს სხვა თემაა. ასეთი ფაქტები რამდენიმე იყო და ეს მაფიქრებინებს, რომ დივერსიაა.

***— ვის ან რაში აძლევდა ხელს ამის გაკეთება?***

— ძალიან ბევრი კურდღელი მოიკლა ამ შემთხვევაში. ერთი ის, რომ უმძიმესი დარტყმა მიადგა ეკონომიკას, ეკოსისტემას — ძალიან სერიოზული, აქედან გამომდინარე, ტურისტულ პოტენციალს და ბევრ სხვა რამეს და სერიოზული დარტყმა მიადგა ქვეყნის პრესტიჟს.

***— რატომ პრესტიჟს?***

— ხანძრის მომენტალური ლიკვიდირებისთვის ჩვენი სახელმწიფო მზად არ აღმოჩნდა. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, როგორი სახიფათო იყო საჰაერო ფლოტზე ხელის ჩაქნევა. მოგეხსენებათ, გაუქმებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ავიაციის ნაწილი. როგორი არასწორი იყო, რომ არ გარემონტდა თავდაცვის სამინისტროს საკუთრებაში არსებული რუსული ვერტმფრენები, რომელთაც ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო.

ეს ერთი საკითხი, მეორე საკითხია, რომ არ შეიძლება სხვადასხვა სისტემაში იყოს ბუნებრივი კატაკლიზმების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები. სამ სისტემაშია გადანაწილებული — შს სამინისტროში, თავდაცვის სამინისტროში და კიდევ ცალკე სტრუქტურაა პრემიერის აპარატში, კრიზისების მართვის საბჭო.

კრიზისების მართვის საბჭო არის უაღრესად კომპეტენტური ადამიანებით დაკომპლექტებული, ისინი ასეთი ტიპის გამოწვევებისთვის მზად არიან.

***— თუმცა ყველაზე დიდი კრიტიკა სწორედ კრიზისების საბჭომ დაიმსახურა.***



## „ეს ხანძრები დივერსიის შედეგია“

— ისინი არიან შემსრულებლები, რასაც დაავალებ, ის უნდა გააკეთონ. მათი დადებული დასკვნები მე მინახავს. სამწუხაროდ, მიუხედავად ასეთი დასკვნების არსებობისა, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ამ გამოწვევების პრევენციას.

***— გამოცდილება აკლიათ თუ ამის საშუალებები არ აქვთ?***

— ერთი ის, რომ ტექნიკური საშუალებები ნაკლები გვაქვს და მეორე ის, რომ აქ გულარხეინობის ელემენტებიც არის. ყველა ეს უწყება ერთ სისტემაში უნდა გაერთიანდეს და ახალი უწყება შეიქმნას.

ხანძარს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ხშირად გვაქვს მეწყრები, წყალდიდობები და ათასი უბედურება. კლიმატი შეიცვალა, აქედან გამომდინარე ახალი გამოწვევები გაჩნდა. აუცილებელია ახლებური მიდგომა. ახალ გამოწვევებს ახალი მიდგომებით უნდა ვუპასუხოთ. ტექნიკაც უნდა შეიძინო, სისტემაც უნდა შექმნა ახალი და ძალიან ყურადღებითაც უნდა იყო ამ მიმართულებით.

თუმცა ეს ხანძრები სრულიად განსხვავებული თემაა. სხვა არის, როდესაც ბუნებრივ კატაკლიზმებს ელოდები და სულ სხვაა, ამას ხელოვნურად რომ მოგიწყობენ.

***— გაჩნდა კითხვები, რატომ მაინცდამაინც ის ადგილი, რომელიც 2008 წლის აგვისტოში გადაწვეს?***

— ეს ზედაპირზე დევს. იმიტომ, რომ 2008 წლის ომის დროს რუსების მიერ სამცხის ტყეებში გაჩენილი ხანძარი მძიმე ფსიქოლოგიურ ფონს ქმნის. ეს საზოგადოების ცნობიერებაში დარჩა, როგორც მძიმე მოვლენა. ამ მოვლენის რეანიმაციის მცდელობაც არის ყველაფერთან ერთად. ხალხს გაახსენეს 2008 წელი, თან აგვისტოს თვე და თან იგივე ადგილი.

***— ეს შესაძლოა რუსული კვალი იყოს? თუ მავანს უნდოდა, რომ ეს მათ დაბრალებოდა?***

— შეიძლება რუსული კვალიც იყოს და ნებისმიერი სხვაც. ასე თქმა გამიჭირდება. ვის აძლევს ხელსო და უამრავი ძალაა, უამრავი სახელმწიფოა ისეთი, ვისაც საქართველოს სისუსტე აწყობს. ეს ხომ აქსიომაა?! ეს აწყობს თითქმის ყველა მეზობელს. ვის უნდა ძლიერი სახელმწიფო რეგიონში?! შეიძლება ამერიკის შეერთებულ შტატებს. სხვას არც ერთს არ უნდა, დარწმუნებული ვარ!

***— დახმარება მივიღეთ ყველასგან, გარდა რუსეთისა, ესეც სერიოზული განხილვის თემად იქცა, უნდა მიგვეღო თუ არა მათგან დახმარება?***

— მე ვთვლი, რომ არ იყო საჭირო რუსეთისთვის მიმართვა ამ საკითხზე, არანაირი ფორმით. მით უმეტეს, ხანძარი იმ ადგილას გაჩნდა, სადაც რუსებმა თავის დროზე ხელოვნურად გააჩინეს. ამიტომ ამორალურია რუსეთის დახმარებაც და რუსეთისთვის მიმართვაც! არ არის აუცილებელი, მათ ვთხოვოთ დახმარება. ჩვენს სამეზობლოში არის ისეთი ქვეყნები, ვისაც ასეთი ტექნიკა აქვს. მაგალითად, უკრაინა, რომელთანაც ახლა დაიწყეს თანამშრომლობა და რომელსაც აქვს ასეთი ტიპის ავიაცია.

***— ბორჯომის ხანძრის პროცესში არ ჩართულა უკრაინა, მხოლოდ ახლა დაიწყო აბასთუმანში ხანძრის ჩაქრობა. რატომ?***

— ესეც არის კიდევ ერთი ნიშანი მოუმზადებლობისა, კარგი, შენ არა გაქვს ტექნიკა, მაგრამ ხომ უნდა იცოდე, ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში პირველ რიგში ვის სთხოვო დახმარება?!

***— ასეთი რთული რელიეფის მქონე ადგილებიც სპეციალურად არის შერჩეული, რომ რაც შეიძლება მეტი ყოფილიყო ზარალი?***

— რასაკვირველია! არსებობს ობიექტური მიზეზები, რომელსაც ვერც გაითვალისწინებ და ვერც ლიკვიდაციას მოახდენ დროულად. მაგალითად, კანადის შემთხვევა, უზარმაზარი მასივები დაიწვა ტყის. კანადას ჯერ თვითონ აქვს უახლესი ტექნიკა და ამერიკაც აქტიურად ეხმარებოდა. იგივე მოხდა ავსტრალიაში, პორტუგალიაში. თუმცა იქ გამოიკვეთა, რომ ერთ ადგილას, ტყის ერთ მასივში მოხდა ხანძარი და ჩვენთან მოხდა მთელი საქართველოს მასშტაბით.

***— სწორედ ეს ამძაფრებს ეჭვებს?***

— დიახ. აშკარაა, რომ რაღაცა ჯგუფები მუშაობს ადამიანებისა, ვილაცისგან აღებული აქვთ ფული და წვავენ ამ ქვეყანას. ეროვნებით ქართველები არიან ეს ადამიანები! მათ გეგმაში ხელისუფლების დისკრედიტაციაც შედიოდა და ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც ამას.

***— წინასაარჩევნო პერიოდია, ამასთანაც აკავშირებთ?***

— რასაკვირველია! ეს ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული. სწორედ ამიტომ გაჩნდა ეჭვი, რომ ეს რომელიღაც პოლიტიკური ძალის დაკვეთა ყოფილიყო. იგივე ნაცმოძრაობისკენ გაიშვირეს ხელი. მე ასე თქმა გამიჭირდება. არ მინდა დავიჯერო, რომ რომელიმე პოლიტიკურმა ჯგუფმა თავისი ინტერესებისთვის ასეთი რამ ჩაიდინა. არ არის გამორიცხული, რომ ეს იყოს რომელიმე სახელმწიფოს დაკვეთა, თუნდაც შურისძიების მიზნით, სახელმწიფოს წინააღმდეგ, ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული!

---

# „m² უძრავი ქონება“ მთაწმინდის ფერდობზე დამწვარ ტერიტორიას სრულად აღადგენს

კომპანია „m² უძრავი ქონება“ მთაწმინდის ფერდობზე დამწვარი 20 ათასი კვადრატული მეტრის ტერიტორიაზე მწვანე საფარისა და ლანდშაფტის აღდგენას საკუთარ თავზე იღებს.

რეაბილიტაციის ინიციატივა m²-ის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ბურდილაძემ და თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მედიის წარმომადგენლებს დღეს გააცნეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ გარემოს დაცვის მიმართულებით მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები, რომლებიც მთაწმინდის ფერდობის რეაბილიტაციის პროექტში აქტიურად ჩაერთვებიან.

კომპანიამ „m² უძრავი ქონება“ მთაწმინდის ფერდობის დამწვარი ტერიტორიის აღდგენის საკითხზე მუშაობა 9 აგვისტოს დაიწყო. ამ დროისთვის ქალაქის მერიასთან, გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან ერთად დეტალურ პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს. პროექტის მიზანი დამწვარი 20 ათასი კვადრატული მეტრის ტერიტორიის სრულად აღდგენა და აღნიშნულ ადგილზე ბიომრავალფეროვანი გარემოს შექმნაა.



მთაწმინდის მთაზე ხანძარი 2017 წლის 8 აგვისტოს გაჩნდა. ცეცხლი ძნელადმისადგომ ფერდობზე ბალახსა და ხეებს წაეკიდა და დაახლოებით 2 ჰექტარი ტერიტორია გაანადგურა. კომპანია „m² უძრავი ქონება“, მისი კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის თანახმად, საკუთარ თავზე იღებს მთაწმინდის ფერდობზე დამწვარი ტერიტორიის, როგორც მწვანე საფარის აღდგენასა და ლანდშაფტის რეაბილიტაციას, ასევე მის შემდგომ მოვლას.

კომერსანტი

---

# თბილისში დემირელის სახელობის სკოლა დაიხურა

დემირელის სახელობის სკოლას ავტორიზაცია შეუჩერდა. შესაბამისი გადაწყვეტილება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ მიიღო.

დემირელის სახელობის სკოლამ ავტორიზაციის 5-წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ ავტორიზაციის საბჭოს კვლავ მიმართა, თუმცა სკოლამ 29 აგვისტოს, სხვადასხვა მიზეზით ავტორიზაციაზე უარი მიიღო.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გია მურღულიამ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განმარტა, თუ რა გახდა დემირელის სახელობის სკოლის დახურვის ძირითადი მიზეზები.

— ხარისხის მართვის სპეციალისტები სკოლის შეფასებას ახდენენ სამი მთავარი მიმართულებით: პირველი არის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა — როგორი საკლასო ოთახებია, რამდენად უზრუნველყოფილია გათბობით, ლაბორატორიებით, კომპიუტერებით. მეორე კომპონენტია ის, თუ რამდენად სწორად არის შერჩეული მასწავლებელთა კორპუსი — როგორ არის გაფორმებული ხელშეკრულებები, დასტურდება თუ არა მასწავლებელთა კვალიფიკაცია. მესამე არის საპროგრამო მიმართულება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — თუ როგორ ასრულებს ეროვნულ სასწავლო გეგმას ესა თუ ის სკოლა. სამივე ამ მიმართულებით, ჩვენდა სამწუხაროდ, იყო ძალიან სერიოზული ხარვეზები.




ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა მდგომარეობდა შემდეგში: ამ სკოლაში სწავლობდნენ არაქართულენოვანი მოსწავლეები სხვადასხვა ქვეყნიდან — ერაყიდან, თურქეთიდან... ზოგჯერ, ერთ დღეში, სკოლას შეეძლო მიეღო მოსწავლე, შეექმნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. იმავე დღეს მოსწავლეს შეეძლო ჩაებარებინა 6-7 გამოცდა ქართულ ენაზე, მათ შორის, ქართულ ლიტერატურაში თავისი ჰაგიოგრაფიით, რუსთველით, სულხან-საბათი, გურამიშვილით და გალაკტიონით. ასევე აბარებდა ფიზიკას, ქიმიას, ისტორიას, ბიოლოგიას და სხვა. ეს არის ენით უთქმელი და გაუგონარი დარღვევა. მხოლოდ ეს ერთი მიზეზიც რომ იყოს, საკმარისია სკოლის დასახურად, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა არაერთი დარღვევა არსებობდა დემირელის სკოლაში. არ მინდა მძაფრი სიტყვა გამოვიყენო, მაგრამ ამას ნამდვილად ახლავს თაღლითობის, დანაშაულის ნიშნები.

გარდა ამისა, სკოლაში სწავლობენ მოსწავლეები, რომლებიც ჟურნალში საერთოდ არ არიან აღრიცხულნი. აქ არიან მოსწავლეები, რომლებსაც აფასებენ მას შემდეგაც, რაც უკვე დატოვეს სკოლა და სხვა სკოლაში წავიდნენ. ოფიციალურად, ამ სკოლაში სწავლობდა 361 ბავშვი, რეალურად, ჟურნალებში შეტანილია 476 ბავშვი. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი არის წარმოუდგენელი ამბავი, რაც, სიმართლე გითხრათ, უხეშად არღვევს ქართული კანონმდებლობის მოთხოვნებს, — განაცხადა გია მურღულიამ.

# ისლანდიაში თავშესაფრის მსურველი საქართველოს მოქალაქეებისთვის ახალი რეგულაციები ამოქმედდა

ისლანდიაში თავშესაფრის მოთხოვნაზე უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ ქართველ აპლიკანტებს ქვეყანას დაატოვებინებენ და მათ 2 წლის განმავლობაში შენგენის ზონაში შესვლა აეკრძალებათ, – ამის შესახებ ისლანდიის საიმიგრაციო სამსახურის მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის განახლებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, რომელსაც ისლანდიის რესპუბლიკასა და დანიის სამეფოში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი გიგი გიგიაძემ ავრცელებს.



როგორც ელჩმა აღნიშნა, საიმიგრაციო სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაში დეტალური განმარტებებია მათთვის, ვინც უკვე მიმართა ან მომავალში აპირებს მიმართოს ისლანდიას თავშესაფრის მისაღებად.

– ვინაიდან საქართველო უსაფრთხო ქვეყნების დირექტორატის საემიგრაციო სიაშია, საიმიგრაციო დირექტორატის აზრით, ვითარება ზოგადად უსაფრთხოა და ხელისუფლებას შეუძლია შესთავაზოს მოქალაქეებს საკმარისი დაცვა. საქართველოს მოქალაქეებს, შესაბამისად, არ სჭირდებათ საერთაშორისო მფარველობა (დაცვა).

საიმიგრაციო სამსახურში შესული განაცხადები განიხილება პრიორიტეტული პროცედურებით და უარყოფილი იქნება რამდენიმე დღეში.

უარყოფილ აპლიკანტებს ქვეყანას დაატოვებინებენ და მათ 2 წლის განმავლობაში აეკრძალებათ შენგენის ზონაში შესვლა. აპლიკანტები პოლიციის მიერ რეგისტრირებულნი არიან, დაკითხული საიმიგრაციო დირექტორატის მიერ და მიიღებენ ისლანდიის წითელი ჯვრის კანონიერ დახმარებას.

19 ივლისს გამოქვეყნდა ისლანდიის საიმიგრაციო სამსახურის გადაწყვეტილება საქართველოს უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეყვანის შესახებ. გამომდინარე აქედან, ისლანდია აღარ დააკმაყოფილებს საქართველოს მოქალაქეების განაცხადს თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ და ძალიან შემჭიდროვებულ ვადებში მათ სამშობლოში დააბრუნებს, – განაცხადა გიგი გიგიაძემ.

**ბპნ**

# რა ქონებას ფლობს საქართველოს პრეზიდენტი

ქონებრივი დეკლარაციის შევსების ვალდებულება საქართველოში 2.800-ზე მეტ თანამდებობის პირს აქვს. მათ შორის არიან: პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები, მინისტრები და მათი მოადგილეები, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, საბჭოს წევრები და ა.შ.

ჩვენ გადავწყვიტეთ გვენახა, როგორ შეიცვალა საქართველოს პრეზიდენტის ქონება ბოლო ერთი წლის განმავლობაში. აღმოჩნდა, რომ გასულ წელს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის შემოსავალმა 82.800 ლარი შეადგინა. აქვე ირკვევა, რომ დუშეთში მან გასულ წელს 10 ათას ლარად შეფასებული სახლი აიშენა.

2017 წლის 24 აგვისტოს შევსებული ქონებრივი დეკლარაციით, პრეზიდენტი ფლობს 4.462 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთს დუშეთში; ამავე მისამართზე მდებარე 200 კვ. მეტრი ფართობის საცხოვრებელ სახლს; 120 კვ. მეტრის ბინას თბილისში; 40 კვ. მეტრის საცხოვრებელ სახლს დუშეთში, რომელიც 2016 წელს 10.000 ლარად ააშენა.

რაც შეეხება მარგველაშვილის ფინანსურ მდგომარეობას, დეკლარაციის შევსების მომენტში „თი-ბი-სი" ბანკის სახელფასო ანგარიშზე მას 3.546,67 ლარი ჰქონდა.

გიორგი მარგველაშვილს ჰყავს მეუღლე, მამა, დედა და შვილი. მამამისი ფლობს 165 კვ. მეტრი ფართობის ბინას. დედას, მზეანა გომელაურს კი დეკლარაციის შევსების მომენტში „ლიბერთი ბანკის" ანაბარზე 1.360 ლარი; „თი-ბი-სი" ბანკის სახელფასოზე 1.515 ლარი, ხოლო „საქართველოს ბანკის" ანაბარზე – 1.265 ლარი ჰქონდა. ამასთან, მისმა შემოსავალმა წინა წლის განმავლობაში, რომელიც აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიაში ლექტორობისთვის აქვს მიღებული 1.811,25 ლარი შეადგინა. ასევე, მას გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში იგივე საქმიანობისთვის დაერიცხა 2.487,50 ლარი, ხოლო საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ლექტორობისას 8.930 ლარი.



რაც შეეხება პრეზიდენტის მეუღლეს, მაკა ჩიჩუას, ის ფლობს 70 კვ. მეტრის ბინას თბილისში; მასვე ქონებრივი დეკლარაციის შევსების მომენტში „ქართუ ბანკის" მიმდინარე ანგარიშზე 12.485 ლარი; 44,17 დოლარი და 454,26 ევრო ჰქონდა.

**ბპნ**

# რამდენი აქვს სახელმწიფოს შიდა ვალი

უკანასკნელ წლებში სერიოზული განსჯის საგანია სახელმწიფოს შიდა ვალის მოცულობის მუდმივი ზრდა. ბოლოს გამოქვეყნებული ინფორმაციით, 2017 წლის 1-ელი ივნისისთვის სახელმწიფოს შიდა ვალი 2.655 მლრდ ლარს შეადგენდა, საიდანაც 2.159 მლრდ სახაზინო ფასიან ქაღალდებზე მოდიოდა. 1-ელი ივნისისთვის სახელმწიფოს მიერ გაყიდული ფასიანი ქაღალდების 86% კომერციული ბანკების საკუთრებაა, ხოლო 14% ეროვნული ბანკის, რეზიდენტი და არარეზიდენტი პირებისა.



2011-2016 წლებში სახაზინო ფასიანი ქაღალდების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 7.6%-დან 11.6%-მდე მერყეობდა, ანუ, უკანასკნელ 6 წელიწადში, საშუალოდ, 8.6%-იან სარგებელს იღებდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის მფლობელი.

ექსპერტები მიმოიხილავენ შიდა ვალის დინამიკას და ასკვნიან, რომ იგი სახელმწიფოს გაცილებით ძვირი უჯდება, ვიდრე ეს საგარეო ვალის შემთხვევაში იქნებოდა და, ამ მოცემულობის გამო, სავალო პოლიტიკის გადახედვასა და შეფასებასაც ითხოვენ. მაგალითად, პორტალ „ჯორჯიან ბიზნეს ენდ პოლითიქალ ინსაითის" ექსპერტებმა თვალი გადაავლეს შიდა ვალის დინამიკას და შესაბამისი დასკვნებიც დადეს.

მათი ინფორმაციით, 2009 წლის აგვისტოდან 2017 წლის ივლისამდე 3.176 მლრდ ლარის სახაზინო ვალდებულება გაიყიდა (6-თვიანი და 1-წლიანი ვადიანობის), საშუალოდ, 7.7%-იანი სარგებლით. ექვსთვიანი ვალდებულებების საშუალო საპროცენტო სარგებელი, როგორც წესი, 7%-ის ფარგლებშია, ხოლო ერთწლიანის – 4%-დან 14%-ის ფარგლებში მერყეობს უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში.

2010 წლის თებერვლიდან 2017 წლის III კვარტლამდე პერიოდში 2.764 მლრდ ლარის 1-დან 10 წლამდე ვადიანობის სახაზინო ობლიგაცია გაიყიდა, რომლის საშუალო საპროცენტო განაკვეთმა 9.7% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ობლიგაციების კუპონის გადახდა 6 თვეში ერთხელ ხდება. 2.5 და 10-წლიანი სახელმწიფო ობლიგაციებზე კუპონური განაკვეთი 5.2%-დან 15.5%-ის ფარგლებში მერყეობს წლების მიხედვით.

2009-2017 წლებში (I კვარტალი) სულ 5.94 მლრდ ლარის ოდენობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი გაიყიდა.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს ფასიანი ქაღალდების მომსახურება ყოველ წელს უფრო და უფრო მეტი უჯდება. ასე, მაგალითად: თუ 2010 წელს მხოლოდ 15 მლნ. ლარი დაიხარჯა ამ მიმართულებით, 2016 წელს უკვე 150 მლნ-ის გადახდა მოხდა. 2010-2017 წლებში (მხოლოდ I კვარტალი) სახელმწიფო ბიუჯეტს 584.4 მლნ ლარი ობლიგაციებისა და ვალდებულებების მომსახურების პროცენტში აქვს გადახდილი, საიდანაც სარგებლის 86%, სავარაუდოდ, ბანკებზე მოდის.

ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ საგარეო ვალი ბევრად დაბალპროცენტიანია, ვიდრე შიდა, ხელისუფლება ბოლო წლებში ფასიანი ქაღალდების გამოშვებას ყოველწლიურად ზრდის. თუ სახაზინო ფასიანი ქაღალდების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 2011-2016 წლებში 8.6%-ს უდრის, საგარეო ვალის მომსახურება სახელმწიფოს 2%-ის ფარგლებში უჯდება. მაგალითად, 2016 წელს საგარეო ვალის წლიური საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 2.03%-ს შეადგენს, ანუ შიდა ვალის მომსახურება სახელმწიფო ბიუჯეტს ოთხჯერ და მეტჯერ უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე საგარეო ვალისა.

ცხადია, შიდა ვალის აღებას აქვს თავისი უპირატესობებიც: სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის გააქტიურება, ბანკების სტაბილურობისთვის ხელის შეწყობა, ლარის კურსზე ზემოქმედება და ა.შ. თუმცა, ალბათ დროა, არსებული სტატისტიკის ფონზე, სახელმწიფომ და ექსპერტებმა შიდა ვალის პოლიტიკაზე უფრო აქტიურად დაიწყონ მსჯელობა.

# „ტავარი" არის, კლიენტი — არა" ყოფილი გარემოვაჭრეები ცარიელი ბაზრებიდან

გარემოვაჭრეები, რომელთაც დედაქალაქის ქუჩები ორიოდე თვის წინ დაატოვებინეს და სპეციალურ ადგილებში გადაიყვანეს, კლიენტების ნაკლებობას და შემოსავლის მკვეთრ შემცირებას უჩივიან.



ამბობენ, რომ მათთვის გამოყოფილ ადგილებში ხალხი არ მიდის, შესაბამისად, ვერაფერს ყიდიან. მეტიც, მათი თქმით, ზოგჯერ მთელი დღე ისე გადის, რომ ერთი ნივთის გაყიდვასაც კი ვერ ახერხებენ.

თითოეული მათგანი ამბობს, რომ ოჯახების რჩენის გარდა, არაერთი სესხის დაფარვის ვალდებულებაც აწევთ. უნდათ ძველ ადგილებს დაუბრუნდნენ, თუმცა პოლიციის ეშინიათ, რომელიც საქონლის ჩამორთმევითა და დაჯარიმებით ემუქრებათ.

მოგეხსენებათ, თბილისის თითქმის ყველა უბანში ხალხმრავალი ადგილები, განსაკუთრებით კი მეტროს სადგურების მიმდებარე ტერიტორიები გარემოვაჭრეებით იყო სავსე. ჯერ კიდევ „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის დროს, დედაქალაქის ხელისუფლებამ ქუჩები მათგან საკმაოდ უხეში ფორმებით გაწმინდა. თუმცა, „ქართული ოცნების" მოსვლის შემდეგ გარემოვაჭრეები კვლავ ძველ ადგილებს დაუბრუნდნენ. მას შემდეგ ეს თემა აქტუალურობას არ კარგავდა. მოსახლეობის ნაწილი კვლავ მათ გაყვანას მოითხოვდა. განსაკუთრებით მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებნი, რომლებიც ანტისანიტარიასა და ხმაურს უჩიოდნენ.

საბოლოოდ, რამდენიმე თვის წინ, პროტესტის მიუხედავად, გარემოვაჭრეებს ქუჩების დატოვება კვლავ მოუწიათ. გამგეობებმა მათ თითოეულ უბანში სპეციალური ადგილები გამოუყვეს. ძირითადად იქვე მდებარე ბაზრებში.

Bpn-ი იმ გარემოვაჭრეებს ესაუბრა, რომლებიც პროდუქციის რეალიზებას, წლების განმავლობაში, მეტრო „ახმეტელის თეატრის" მიმდებარედ ახდენდნენ, ახლა კი საქმიანობას ბაზრის ტერიტორიაზე აგრძელებენ. აღსანიშნავია, რომ ადგილი ხალხმრავლობით ნამდვილად არ გამოირჩევა. მათგან უფრო თამამები რისკავენ და მეტროს მიმდებარედ მაინც დგებიან სავაჭროდ, თან პროდუქცია ხელში უჭირავთ და მზად არიან იმ შემთხვევისთვის, თუ გაქცევა მოუწევთ.

ინტერვიუზე თითქმის ყველა გვთანხმდებოდა, თუმცა გვეუბნებოდნენ, რომ რაიმეს შეცვლის იმედი არ აქვთ, რადგან მათ „ადამიანებად არავინ თვლის".

**ნონა საროიანი:**

– რა თქმა უნდა, არ ვართ კმაყოფილები. ხალხი საერთოდ არ არის, მუშაობა არ არის. სად წავიდეთ? ვსხედვართ ტყუილად. ჯერ გადასახადს არ გვახდევინებენ, მალე ამასაც მოგვთხოვენ და როგორ გადავიხდით, არ ვიცი. დღეში ალბათ 6 ლარი იქნება გადასახდელი, მაგრამ ეს ჩვენთვის ძალიან ბევრია.

მეტროსთან არ გვიშვებენ, თორემ ისევ სიამოვნებით ჩავიდოდით. პოლიცია გვეუბნება – საქონელს წაგართმევთო. იქ ხალხი დადის, აქ ამოსვლა ეზარებათ, კიბეებია და არ უნდათ. იქ ბევრად უკეთესი იყო, ვვაჭრობდით, შემოსავალი გვქონდა, ვალებს ვისტუმრებდით. აქ კი არაფერი გამოგვდის. აქ მარტო ვალებს ვიმატებთ. ისედაც „ვიხრჩობით" ვალებში და არსებულს კიდევ ემატება. გუშინ ვერ შევიტანე ბანკში პროცენტი. მივედი და 5 სექტემბრამდე გადავატანინე, მაგრამ ხუთამდე საიდან მოვიტან, არ ვიცი. თითქმის ყველა ბანკში ვალი მაქვს. ჩემი ახლობლის ბინა მაქვს ჩადებული და იმას ვიხდი, ჩემი უკვე დავკარგე. ყველა ასეა, ვისაც გინდა ჰკითხეთ. რა გითხრათ, ამ ცხოვრებაში კარგი არაფერია...

ქალბატონი, რომელმაც სახელის და გვარის გამხელისაგან თავი შეიკავა, ფეხსაცმლით ვაჭრობს. გვითხრა, რომ 6-სულიან ოჯახში მხოლოდ ისაა შრომისუნარიანი – სამ მცირეწლოვან შვილს, ავადმყოფ მეუღლესა და მოხუც დედამთილს ინახავს. ამას ის ვალებიც ემატება, რომელსაც საქონლის შესაძენად პერიოდულად იღებს. ამბობს, რომ ვაჭრობით მიღებული შემოსავალი ვალების დასაფარადაც კი არ ჰყოფნის.

– სამი თვეა, რაც აქ ვართ. ადრინდელთან შედარებით ჩვენი შემოსავალი ძალიან ცოტაა. იქ ხალხი დადიოდა და გზად ბევრ რამეს ყიდულობდა. აქ კი, თუ ძალიან არ უჭირთ, არ ამოდიან. იმ იმედით ვართ, რომ ხალხი ამოვა, თორემ არც ვიცი, რა გვეშველება გადასახადის გადახდა რომ დაიწყება. ახლა სკოლა იწყება და იქნებ იყოს რამე... აბა სად წავიდეთ? ქვემოთ არ გვიშვებენ, თორემ ვის არ უნდა? აქ კი უკეთესი პირობებია – გადახურულია, მაგრამ ოღონდ გაგვიშვან და არა უშავს, წვიმაში და სიცხეში ქოლგით ვიჯდები, – გვითხრა მან.

**გალია ჩერემუშინა:**

– თუ ასე გაგრძელდა, გადასახადის გადახდა რომ დაიწყება, აღარ ეღირება მუშაობა. ავდგები და წავალ, ისევ ქუჩაში გავალ. პოლიცია გვიშლის, მაგრამ რა ვქნა, გავიქცევი ხოლმე. აბა, რით გადავიხადო, იმდენი ვალი რომ მაქვს. მარტო დიდი ბანკების ვალები კი არ გვაქვს, თვეში ერთხელ რომ ვიხდით, პატარა მიკროსაფინანსოებისაც, სადაც დღიური გადასახადი გვაქვს – 10-11 ლარი. ისესხებ 300 ლარს და ყოველ დღე 10-11 ლარს იხდი. ყველა ასე ვართ, არ გეგონოთ მარტო ჩემი პრობლემაა. კერძო პირების ვალებიც გვაქვს, პროცენტიანი.

მისივე თქმით, კლიენტის სიმცირეს არა მხოლოდ მეტრო „ახმეტელთან" მყოფი მოვაჭრეები უჩივიან, არამედ სხვა უბნებში მყოფებიც. ჩვენს კითხვაზე, ხომ არ გეგმავენ ამ ყველაფრის გაპროტესტებას, ქალბატონმა გალიამ ასე გვიპასუხა:

„პროტესტს და აქციას რა აზრი აქვს? ჩვენ ვინ გვისმენს? ჩვენ ხალხად არ გვთვლიან, ბოლო ფენა ვართ..."

**ბპნ**

# ქართული ფრინველის ხორცი 10 თეთრით გაძვირდება



**ერთ ფრთა ქათამზე დაწესებული 5-თეთრიანი გადასახადი თვითღირებულების 6-7%-ს შეადგენს, რაც ერთი კილოგრამი ქათმის ფასს საშუალოდ 10 თეთრით გაზრდის, – ამის შესახებ კომერსანტთან საუბრისას ადგილობრივი მწარმოებლების ნაწილი აცხადებს. თუმცა, მათივე თქმით, ახალი წესი კომპანიებზე ფინანსური თვალსაზრისით მაინც ნეგატიურად აისახება.**

ქათმის ხორცის ადგილობრივი მწარმოებლებისთვის დამატებითი რეგულაცია რამდენიმე დღის წინ ამოქმედდა. კერძოდ, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2017 წლის 24 აგვისტოდან სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ კანონით, განისაზღვრა სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადა და საფასური. მათ შორისაა ფრინველის ხორცის ვეტერინარული შემოწმება, ე.წ. ფორმა №2-ი. შესაბამისი დოკუმენტის გაცემა კი 1 ფრთა ქათამზე 5 თეთრით განისაზღვრა.

გასულ კვირას ქათმის ხორცის ადგილობრივი მწარმოებლები „კომერსანტთან" საუბრისას პროდუქტის გაძვირებას და წარმოების დახურვას პროგნოზირებდნენ. კომერსანტი დაინტერესდა, თუ რა წილი უჭირავს პროდუქტის თვითღირებულებაში 1 ფრთა ქათამზე გადასახდელ 5 თეთრს და რატომ არის თითოეული მწარმოებლისთვის რამდენიმეთეთრიანი გადასახადის დაწესება წარმოების დახურვის საფუძველი? როგორც აღმოჩნდა, საქართველოში წარმოებულ ფრინველის ხორცზე დამატებითი გადასახადი პროდუქტის თვითღირებულების დაახლოებით 6-7 პროცენტს შეადგენს, რაც ქართველი მწარმოებლების განცხადებით, მათთვის საკმაოდ დამაზარალებელია.

გასულ კვირას ფრინველის ხორცის წარმოების შეწყვეტას „კომერსანტთან" საუბარში არ გამორიცხავდა კომპანია „ჩირინა"-ს („ბიუ-ბიუ") დამფუძნებელი რევაზ ვაშაკიძე. დღეს კი ასევე „კომერსანტთან" აცხადებს, რომ ასეთ მკვეთრ გადაწყვეტილებას აღარ მიიღებს. მისი განცხადებით, აღნიშნული რეგულაცია გახდა საფუძველი იმისა, რომ კომპანიამ ქათმის ხორცზე ფასის ზრდის ნაცვლად პროდუქცია საშუალოდ 50 თეთრით გააიაფა. ბიზნესმენი ამას გრძელვადიანი ბიზნესგეგმებით ხსნის.

– ჩვენი წარმოება დიდია და მოსახლეობას უჭირს შეძენა. სახლში ხომ არ წავიღებ ქათამს? ამიტომ გავაიაფე და კიდევ უფრო დიდ ზარალზე წავედი. ბიზნესი გრძელვადიანია და სხვა გამოსავალი არ არსებობს, – აცხადებს ვაშაკიძე.

მისი ინფორმაციით, კომპანია „ჩირინა" ბაზარზე 2013 წლიდან შემოვიდა და დღემდე მოგებაზე არ გასულა.

– დღემდე მინუსში ვართ და მოგება არ გვრჩება. სიტუაცია რთულია. იმპორტით შემოდის ძალიან დაბალი ხარისხის, თურქული ფრინველის ხორცი. ასეთი ხორცი საკვებად უვარგისია. ასეთი ქათამი ვერ შედის ვერც აზერბაიჯანში, ვერც სომხეთში, ჩვენთან კი შემოდის. აღსანიშნავია, რომ ასეთი ქათმის ხარისხი ფასის შესაბამისია, ანუ ძალიან იაფია. ჩვენთან კი ეს იყიდება, რადგან დღეს საქართველოში მსყიდველობითუნარიანი მოსახლეობა ძალიან მცირეა.

გარდა ამისა, ბაზარზე არიან ძალიან მცირე მეწარმეები, რომლებიც კანონმდებლობით გათავისუფლებულები არიან დღგ-სგან, შესაბამისად, ჩვენზე ბევრად კარგ პირობებში არიან, – აცხადებს ვაშაკიძე.

მისი განცხადებით, ფრინველის ხორცის თვითღირებულებაში აღნიშნული გადასახადი 7-პროცენტიან წილს დაიკავებს. ვაშაკიძის განცხადებით, კომპანიებმა ეს თანხა წინასწარ, პროდუქციის რეალიზაციამდე უნდა გადაიხადონ. როგორც ვაშაკიძე განმარტავს, მთავრობის მხრიდან ეს არის გაუაზრებელი საქციელი.

– ჩვენ არ გვქონდა მთავრობასთან კომუნიკაცია. უნდა შეგვხვედროდნენ და გაეგოთ, ვის რა მოგება ჰქონდა და რა ფინანსური მდგომარეობა. ჩვენ ბიუჯეტი ხომ გვქონდა გაწერილი, ფულის გადახდას კი შუა წლიდან გვავალდებულებენ. საიდან უნდა მოვიტანოთ? – აცხადებს ვაშაკიძე.

ბიზნესმენისთვის გაურკვეველია, რატომ უნდა გადაიხადოს კომპანია „ჩირიანა"-მ ეს გადასახადი მაშინ, როდესაც თავად აქვს საერთაშორისო სტანდარტების სასაკლაო, სადაც 12 ვეტერინარი მუშაობს.

შპს „განთიადი"-ს (მუხრანის ქათამი) დირექტორი ელგუჯა ნოზაძე „კომერსანტთან" საუბრისას აცხადებს, რომ უკვე მოხდა კალკულაცია იმისი, თუ აღნიშნული რეგულაციის შედეგად რამდენით გაძვირდება 1 კილოგრამი ფრინველის ხორცი. მისი განცხადებით, 1 კილოგრამი ქათამი მინიმუმ 10 თეთრით გაძვირდება. ნოზაძე აცხადებს, რომ დამატებითი 5-თეთრიანი გადასახადი თვითღირებულების 6-7 პროცენტს შეადგენს.

„ახლა კილოგრამი ქათამი 4.50 – 5 ლარამდე მერყეობს. ყველა ქვეყანაში ქათმის ხორცის წარმოება სახელმწიფოს მხრიდან არის სუბსიდირებული და მიბმულია სოციალურ პროგრამებთან. ჩვენთან ასე არ ხდება, რაც პრობლემას ქმნის. რომ არ ვიყოთ დღგ-ს გადამხდელები, ასე მძაფრად ეს 5-თეთრიანი ზრდა არ დაგვარტყამდა" – აცხადებს ნოზაძე.

სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე პაატა ქურდაძე „კომერსანტთან" საუბრისას განმარტავს, ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა ყველა ქვეყანაში მოქმედებს. მისი თქმით, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ცხოველთა სასაკლაოებში სახელმწიფოს წარმომადგენელია. გამონაკლისი არც საქართველოა. „ჩვენ ყველა სასაკლაოში გვყავს ვეტერინარი ექიმი, რომელიც დაკვლის წინა და შემდგომ შემოწმებას ახორციელებს. ეს კი ფასიანი მომსახურებაა".

ქურდაძის განცხადებით, აღნიშნული ნორმით მოხდება ბაზრის დაცვა, თუმცა, ხორცის ფასის ცვლილებას (გაძვირებას) არ გამოიწვევს.

– ეს ყველაფერი ხდება მიზანმიმართულად იმიტომ, რომ დავიცვათ ჩვენი მოსახლეობის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ჩვენ უფრო ვაფართოებთ კონტროლს და ამან მოიცვა ფრინველთა სასაკლაოები, რომლებიც შევიდა ძალაში. ასეთივე განხორციელდა ცხოველთა სასაკლაოებში, ამას კი საქონლის ხორცის გაძვირება არ გამოუწვევია, – აცხადებს ქურდაძე.

მისი მტკიცებით, სურსათის ეროვნულ სააგენტოს ბიზნესოპერატორებთან ხშირი კონტაქტი აქვს და ეს გადაწყვეტილება მათთვის „სიურპრიზი" ნამდვილად არ ყოფილა.

**კომერსანტი**

# დასაქმების სააგენტოები შემოდგომაზე ვაკანსიების ზრდას ელოდებიან




დასაქმების სააგენტოები შემოდგომაზე ვაკანსიების ბუმს ელოდებიან. კომპანია ჰრ.გე-ს წარმომადგენელი მანანა დალაქიშვილი რადიო „კომერსანტთან" საუბრისას აცხადებს, რომ ზაფხულის პერიოდში, მათ შორის აგვისტოში, შეინიშნებოდა აქტიურობა, თუმცა სექტემბრიდან ვაკანსიების მკვეთრ ზრდას ელოდება.

– ზაფხულთან შედარებით დაახლოებით 20%-იან ზრდას ველოდებით. ვერ ვიტყვი, რომ ზაფხული პასიური იყო, თუმცა კომპანიები სექტემბრიდან ემზადებიან ვაკანსიების გამოსაცხადებლად, – აცხადებს მანჩო დალაქიშვილი.

მისივე თქმით, ძირითადად მოთხოვნა „ჰორეკა" სექტორიდან გაყიდვების მიმართულებაზეა, აქტიურობს საბანკო სექტორიც. დალაქიშვილის თქმითვე, ვაკანსიებს უკვე არსებული კომპანიები აცხადებენ, თუმცა ჩნდებიან ახლებიც. ამ ეტაპზე hr.ge-ში 2.400-მდე აქტიური ვაკანსიაა.

ვაკანსიების მნიშვნელოვან ზრდას ელოდებიან დასაქმების კიდევ ერთ სააგენტო dasaqmeba.ge-ში. როგორც კომპანიის დირექტორი პაატა მამულაშვილი რადიო „კომერსანტთან" საუბრისას აცხადებს, აგვისტოში როგორც კომპანიების, ისე დამსაქმებლის მაძიებლების მხრიდან პასიურობა შეინიშნებოდა.

ამასთან, მისივე თქმით, სექტემბრიდან წლის ბოლომდე მინიმუმ 50%-იანი ზრდაა მოსალოდნელი. მამულაშვილის განცხადებითვე, ამ ეტაპზე ვაკანსიები გაყიდვების სპეციალისტებზე ცხადდება, აქტიურია რესტორნების ბიზნესიც. dasaqmeba.ge-ში ამ დროისთვის 1.100-ზე მეტი ვაკანსიაა.

**კომერსანტი**

# ავტობანზე სწრაფი ელექტროდამტენები ოქტომბერში დამონტაჟდება




კომპანია E-space-ის წარმომადგენლის, სულხან გვალიას განცხადებით, ელექტრომობილის სწრაფი დამტენები უკვე შეძენილია და მათი მონტაჟის პროცესი 1-1.5 თვეში დასრულდება.

მისივე თქმით, ამის პარალელურად განავითარებენ სტანდარტული დამტენების ქსელსაც. ამ ეტაპზე კომპანია ორი სწრაფი დამტენის გარდა დამატებით სწრაფი დამტენების მონტაჟის საჭიროებას ვერ ხედავს, რადგან, როგორც გვალია აღნიშნავს, ნახევარსაათიანი დამტენები ძირითადად გრძელ მანძილზე მოძრაობისთვისაა გათვლილი, ავტომობილის მუდმივად სწრაფი დამუხტვა კი რეკომენდირებული არაა, რადგან ბატარეას აზიანებს.

გვალია აცხადებს, რომ ელექტრომობილების დამუხტვისთვის ელექტროენერგია სხვადასხვა კომპანიებთან და მერიასთან ხელშეკრულებების შედეგად ჯერ კვლავ უფასოა და, სავარაუდოდ, მომდევნო წლის ბოლომდე ასე იქნება.

ბიზნესმენის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ დამუხტვა შემდგომ ფასიანი გახდება, მფლობელს მაინც იაფი დაუჯდება. მსოფლიო სტატისტიკით ელექტრომობილების მფლობელების 70-90% ბატარეების დამუხტვას სახლში არჩევს, რადგანაც უფრო იაფი უჯდება.

მისივე ინფორმაციით, მეორადი ავტომობილების იმპორტიორები ელექტრომობილებზე უკვე ყოველთვიურად გაორმაგებულ მოთხოვნაზე საუბრობენ.

– ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად, გაიზარდა მოთხოვნაც ელექტრომობილებზე, რაშიც წვლილი ჩვენც გვაქვს, ჩვენი მიზანიც სწორედ ეს იყო. ამ სექტორს დამატებითი განვითარება, რასაკვირველია, სჭირდება, თუმცა ტენდენცია კარგია, – აცხადებს გვალია.

გვალიას თქმითვე, დღეს მეორადი ელექტრომობილებიც კი შედარებით ძვირია, რაც ერთ-ერთი მიზეზია, რომ საქართველოში ეს სექტორი სწრაფად არ ვითარდება.

– ქვეყნის მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის ზრდასთან ერთად კი, ელექტრომობილების რაოდენობაც გაიზრდება, – აღნიშნავს E-space-ის წარმომადგენელი.

# საქართველოში ავტოპარკის 4,8%-ია დაზღვეული



**– ქვეყანაში, სადაც რეგისტრირებული ავტომანქანების მხოლოდ 4,8 პროცენტია დაზღვეული, იმაზე მიუთითებს, რომ იქ სადაზღვევო კულტურა არის დაბალ დონეზე, – ამის შესახებ კომერსანტს „ეკო ტრანსპორტ ცენტრის" აღმასრულებელმა დირექტორმა ვასო ურუშაძემ განუცხადა.**

როგორც ცნობილია, დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურის სტატისტიკით, საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილიდან დაზღვეული მხოლოდ 4,8%-ია. კერძოდ, 2017 წლის მეორე კვარტალში 59 768 პოლისია გაცემული. ამავე სტატისტიკით, ავტოდაზღვევიდან მოზიდული პრემია 39,60 მლნ. ლარს შეადგენს.

საერთაშორისო გამოცდილებას თუ გადავხედავთ, Iნსურანცე ღესეარცჰ ჩოუნცილ-ის მონაცემებით, 2016 წელს ამერიკაში ავტოპარკის 87.4 პროცენტი იყო დაზღვეული. ჩვენი მაჩვენებელი კი საკმაოდ დაბალია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში საავტომობილო დაზღვევის სისტემა განვითარებული ჯერ კიდევ არ არის.

ვასო ურუშაძის განცხადებით, ქვეყანაში საავტომობილო დაზღვევის სისტემა რომ განვითარებული არ არის, შეიძლება რამდენიმე მიზეზით იყოს განპირობებული:

– ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ავტომობილების დაზღვევა სავალდებულო არ არის. მეორე მხრივ კი, პრობლემა შეიძლება უკავშირდებოდეს სადაზღვევო კომპანიებს და მათ მიდგომას ავტომფლობელებისადმი. ზოგჯერ სადაზღვევო სერვისები და ფასი ხელმისაწვდომი არ არის. საქართველოს ავტოპარკი საკმაოდ მოძველებულია. რეგისტრირებული მანქანების 40%-ზე მეტი 20 წელზე უფრო ასაკოვანი, 95%-მდე კი 10 წელზე უფრო ასაკოვანია. ფაქტობრივად, ახალი ავტომობილების რაოდენობა ქვეყანაში არის ძალიან ცოტა.

ჩემთვის ცნობილია, რომ სადაზღვევო კომპანიები ძირითადად ახალი ავტომობილების დაზღვევისკენ არიან მიმართული, ვიდრე ძველი ავტომობილებისთვის სადაზღვევო პაკეტის შემუშავებაზე.

მისივე თქმით, „ყველა ეს პრობლემა ერთობლიობაში ქმნის იმ დიდ პრობლემას, რომ ქვეყანაში ავტომობილების დაზღვევის კულტურა არ გვაქვს. ავტომფლობელების თითქმის 95% ავტომანქანას არ აზღვევს".

რაც შეეხება იმ მაჩვენებელს, რომ ქვეყანაში რეგისტრირებული ავტომანქანებიდან მხოლოდ 4,8%-ია დაზღვეული, ვასო ურუშაძის თქმით, საკმაოდ მცირეა. მისი ინფორმაციით, ძირითადად ამ რიცხვში ახალი ავტომობილები შედის:

– როგორც ჩემთვის ცნობილია, ძირითადად დაზღვეულია ახალი ავტომობილები, რომელთა შეძენაც სერვისცენტრებში ხდება.

კერძო კომპანიები თავის ავტოპარკს ნაკლებად აზღვევენ. განვითარებულ ქვეყნებში ამ სახის დაზღვევა სავალდებულოა, ისევე, როგორც ზოგადად დაზღვევა და მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევა. სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობს დამატებითი რეგულაციები, განსაკუთრებით იმ სატრანსპორტო საშუალებების მიმართ, რომლებიც კომერციული საქმიანობით არიან დაკავებულები. მათ უნდა ჰქონდეთ მესამე პირის და მგზავრების ჯანმრთელობის დაზღვევაც, თუმცა ამ მიმართულებით არც რაიმე სტანდარტი არსებობს და არც რეგულაცია".

კითხვაზე, არის თუ არა ავტომობილების სავალდებულო დაზღვევის შემოღება გამოსავალი იმისთვის, რომ ქვეყანაში დაზღვევის კულტურა ამაღლდეს, ვასო ურუშაძის შეფასებით, ეს გამოსავალი იქნება. ამასთან, მისივე თქმით, სახელმწიფომ კერძო პირებთან და კომპანიებთან ცნობიერების ამაღლების კუთხით უნდა იმუშაოს, რათა ადამიანებმა დაზღვევის საჭიროება და მნიშვნელობა გაიაზრონ.

– სავალდებულო დაზღვევა შეიძლება ფართომასშტაბიანი არ იყოს და მსუბუქ, კერძო სატრანსპორტო საშუალებებს არ ეხებოდეს. პირველ ეტაპზე შეიძლება სავალდებულო იყოს იმ სატრანსპორტო საშუალებებისთვის, რომლებსაც მგზავრები გადაჰყავთ და ტვირთები გადააქვთ. ზოგადად, სავალდებულო დაზღვევამ სიტუაცია უნდა შეცვალოს.

მე მაინც ვფიქრობ, რომ სწორი სატრანსპორტო პოლიტიკაა საჭირო და ამ მხრივ ხელისუფლებას ბევრი სამუშაო აქვს სადაზღვევო კომპანიებთან. მათ ასევე უნდა იმუშაონ სხვა კომპანიებთან და კერძო პირებთან, აუხსნან დაზღვევის მნიშვნელობა. საზოგადოება საკმარისად ინფორმირებული არ არის, რა შედეგს მიიღებენ საკუთარი მანქანის დაზღვევით და რამდენად საჭიროა ჰქონდეთ დაზღვევა, – განაცხადა ვასო ურუშაძემ.

## ყოფილი პატიმარი დაჭრილი იპოვეს



თელავში ადგილობრივებმა 30 წლამდე მამაკაცი უგონო მდგომარეობაში იპოვეს. ახალგაზრდა კაცს სხეულზე ჭრილობები აღენიშნებოდა.

მომხდარის შესახებ თელავში სხვადასხვა ვერსიაზე საუბრობენ. მოსახლეობის ერთი ნაწილი „ნიუპოსტთან“ ამბობს, რომ მამაკაცი ცივი იარაღით დაჭრეს. მეორე ნაწილის ინფორმაციით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა პირმა ერთ-ერთი დაწესებულების შუშები ჩაამტვრია, რა დროსაც სხეულზე არსებული დაზიანებები მიიღო.

უგონო მდგომარეობაში მყოფი მამაკაცი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

შემთხვევა 29 აგვისტოს საღამოს მოხდა. ახალგაზრდა მამაკაცმა საპატიმრო სამი თვის წინ დატოვა.

„ნიუპოსტი“ შს სამინისტროს დაუკავშირდა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით მიმდინარეობს, რომელიც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

## ქართულმა სასამართლომ დავით კეზერაშვილი გაამართლა



თბილისის საქალაქო სასამართლომ დავით კეზერაშვილის საქმეზე გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

– ჩვენ, დაცვის მხარემ, შევძელით, რომ სასამართლო დაგვერწმუნებინა, რომ ნამდვილად, არანაირი თანხების გაფლანგვას ადგილი არ ჰქონია, წვრთნები ნამდვილად ჩატარდა და განხილვის 3-წლიანი პროცესი ამას ადასტურებდა, რომ ნამდვილად წვრთნები ჩატარდა და თანხები არ გაფლანგულა, – განაცხადა დავით კეზერაშვილის ადვოკატმა შოთა მინდელმა.

შეგახსენეთ, რომ პროკურატურა კეზერაშვილს თავდაცვის სამინისტროში 2008 წელს ჩატარებული წვრთნების დროს თანხების გაფლანგვას ედავებოდა.

## გიორგი მღებრიშვილი: „თუ ჩემი სუბიექტური აზრი გაინტერესებთ, მეც ვფიქრობ, რომ ხანძრები შეიძლება ხელოვნურად იყოს გაჩენილი“



– თუ ჩემი სუბიექტური აზრი გაინტერესებთ, მეც ვფიქრობ, რომ შეიძლება ხელოვნურად იყოს გაჩენილი, შეიძლება სხვა ფაქტორები იყოს, – ამის შესახებ ხანძრების გაჩენასთან დაკავშირებით ჟურნალისტებს საქართველოს შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა განუცხადა. მისი თქმით, გამოძიება მუშაობს ყველა ვერსიაზე.

– გამოძიება ყოველთვის მუშაობს ყველა ვერსიაზე. თუ ჩემი სუბიექტური აზრი გაინტერესებთ, მეც ვფიქრობ, რომ შეიძლება ხელოვნურად იყოს გაჩენილი, შეიძლება სხვა ფაქტორები იყოს... მე ამას ახლა ვერ გეტყვით. გამოძიება მიმდინარეობს, ყველა ვერსიაზე ვმუშაობთ, ყველა ვერსიას ამომწურავ პასუხს გავცემთ, – განაცხადა მინისტრმა.

## საბურთალოზე აფეთქება მოხდა

გუშინ თბილისში, საბურთალოზე, ვაჟა-ფშაველას 24 ნომერში ძლიერი აფეთქება მოხდა, შემთხვევა სავარაუდოდ ბუნებრივ აირზე მომუშავე წყლის გამათბობლის გაუმართაობამ გამოიწვია.

აფეთქება მრავალსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე მოხდა, შედეგად დაიწვა 50 კვადრატულ მეტრამდე საცხოვრებელი ფართი. სახლში შემთხვევის დროს 35 წლის მამაკაცი იმყოფებოდა, იგი ქუჩაში თავად გამოვიდა, თუმცა ამ დროისათვის შოკურ მდგომარეობაში იმყოფება, სასწრაფო დახმარების



ბრიგადამ დაშავებული ხეჩინაშვილის სახელობის კლინიკაში გადაიყვანა, იგი ამ დროისთვის რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული, აღენიშნება სხეულის 45%-ის დამწვრობა.

აფეთქების შედეგად დაშავდა ახლოს მდებარე მაღაზია და ჩამოიშალა კორპუსის ერთ-ერთი კედელი, ცეცხლი სხვა არც ერთ საცხოვრებელ სახლზე არ გავრცელებულა.

ადგილობრივების განცხადებით, აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ახლოს მდებარე კორპუსებშიც ფანჯრების მინები ჩაიმსხვრა.

ამ დროისათვის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობენ. მომხდარის ოფიციალური მიზეზი მოგვიანებით გახდება ცნობილი, პირველადი დასკვნით აფეთქება ბუნებრივმა აირმა გამოიწვია.

ფაქტზე შსს-მ გამოძიება დაიწყო. როგორც „ნიუპოსტს“ შსს-ს პრესსამსახურში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გამოიწვია.

## საქონლის გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, გატარებული ოპერატიულ -სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე, ერთი პირი ამხილა.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნულმა პირმა, მიუნხენი – ქუთაისის ავიარეისით, საქართველოში მალულად შემოიტანა არადეკლარირებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით საიუველირო ნაწარმი, მათ შორის 280 გრამი ოქროსა და 244 გრამი ვერცხლის ნაკეთობები.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია საიუველირო ნაწარმი, რომლის საერთო საბაჟო ღირებულება 26.563 ლარს შეადგენს.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 5-დან 7 წლამდე.

## არასრულწლოვანს 6,9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა



თბილისის საქალაქო სასამართლომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი სიცოცხლის მოსპობის ფაქტზე, არასრულწლოვანი ბრალდებულის ლ.შ.-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საქალაქო სასამართლოდან აცნობეს, ლ.შ.-ს ბრალად ედებოდა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობა, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.

– წარდგენილი ბრალდების თანახმად, ბრალდებულმა საკუთარი დანით, განზრახ მოკვლის მიზნით, სამ ახალგაზრდას ნაკვეთი ჭრილობები მიაყენა სახის, გულმკერდისა და მხრის არეში; ასევე ბრალდებულმა, შეცდომით, გაუფრთხილებლობით, დანით გულმკერდის არეში სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანება მიაყენა მისსავე მეგობარს, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა.

საქმე ეხება 2016 წლის 29 სექტემბერს, ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე არასრულწლოვანთა სიტყვიერ შელაპარაკებას, რომელიც მოგვიანებით ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიამ სისხლის სამართლის საქმე დახურულ სასამართლო სხდომებზე განიხილა. ბრალდებულმა თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. საქმეში არსებულ და სასამართლო სხდომებზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. შ.-ს მიერ ჩადენილია არა განზრახ მკვლელობის მცდელობა, დამამძიმებელ გარემოებებში, არამედ, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობა სამი პირის მიმართ.

სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით არასრულწლოვანი ცნობილი იქნა დამნაშავედ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობასა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობაში სამი პირის მიმართ. ბრალდებულს დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, საბოლოოდ 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, – ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს მხარეთა მიერ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

## შემოსავლების სამსახურმა საგადასახადო სამართალდარღვევის 949 ფაქტი გამოავლინა



ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, 21-27 აგვისტოს, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად, საგადასახადო სამართალდარღვევის 949 ფაქტი გამოვლინდა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 2767 გადამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 98 შემთხვევა; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 74 ფაქტი; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 777 შემთხვევა.

## მოქალაქეს ხის მასალა ელექტრონული ზედნადების გარეშე ფარულად გადაჰქონდა



მოქალაქეს ხის მასალა ელექტრონული ზედნადების გარეშე ფარულად გადაჰქონდა. 22 აგვისტოს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის განყოფილების ოფიცრებმა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად, სოფელ ღვედის ტერიტორიაზე, საქართველოს მოქალაქე, ფ.ჟ.-ს მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის (რომელიც შენიღბული იყო, როგორც სასწრაფო სამედიცინო დახმარებისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალება) გადამოწმების შედეგად, დაახლოებით 3 მ3 დახერხილი ხე-მასალის ელექტრონული ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის შესაბამისად, მოქალაქეს სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული საქონელი, როგორც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ხე-მასალა, ჩამოერთვა და ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ტერიტორიაზე განთავსდა.

## ლალი ფაფიაშვილი და ოთარ სიჭინავა სტრასბურისთვის ბრძოლას აგრძელებენ

საქართველოს მთავრობამ სტრასბურის სასამართლოში ასარჩევი მოსამართლის პოზიციაზე ორი ახალი კანდიდატი – ლალი ფაფიაშვილი და ოთარ სიჭინავა შეარჩია.

ამასთან დაკავშირებით ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს.

– საქართველოს მთავრობის განკარგულება №1818, რომლითაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის პოზიციაზე 2 კანდიდატის ჩანაცვლება მოხდა, გუშინ გამოიცა. მთავრობამ სამთავრობო კომისიის მიერ მისთვის წარდგენილი ოთხი კანდიდატიდან შემდეგი ორი პირი შეარჩია:

1. ლალი ფაფიაშვილი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლე და თავმჯდომარის მოადგილე;

2. ოთარ სიჭინავა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქმედი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე.

როგორც განკარგულების ტექსტშია მითითებული, საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა არა მხოლოდ სამთავრობო კომისიის თავმჯდომარის წარდგინება და კომისიის მუშაობის შედეგები, არამედ ასევე მხედველობაში მიიღო ევროპის საბჭოს ექსპერტ მრჩეველთა კოლეგიის 2017 წლის 21 ივლისის წერილი, სადაც ექსპერტები კანდიდატის დადებით მხარედ უზენაეს ან საკონსტიტუციო სასამართლოში მუშაობის გამოცდილებას ასახელებდნენ.

სტრასბურის სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის პოზიციაზე 2 კანდიდატის ჩანაცვლების მიზნით კონკურსი 25 ივლისს გამოცხადდა. რაც შეეხება კიდევ ერთ კანდიდატს - ლადო ჭანტურიას, ევროპის საბჭოს ექსპერტ მრჩეველთა კოლეგიის 21 ივლისის წერილში ნათქვამია, რომ ის ევროპული კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს და, შესაბამისად, წარმატებით აგრძელებს კონკურსს.



25 ივლისს გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში მოსამართლეობის სურვილი 28 პირმა გამოთქვა. სპეციალურმა სამთავრობო კომისიამ კონკურსანტების საბუთების საკონკურსო განაცხადთან შესაბამისობის დადგენის შემდგომ გასაუბრებაზე 8 პირი დაიბარა. მათგან 7 კანდიდატს სამთავრობო კომისია ინდივიდუალურად გაესაუბრა. მე-8 კანდიდატი გასაუბრებაზე არ გამოცხადდა.

გასაუბრებები 26 აგვისტოს გაიმართა. ქულათა დაჯამების შედეგად გამოვლინდა ოთხი კანდიდატი, რომლებმაც ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენეს: ლალი ფაფიაშვილი – - 4.82; თამარ ალანია – 4.45; იოსებ ბაჩიაშვილი – 3.73; ოთარ სიჭინავა – 3.73.

დადგენილი წესის თანახმად, სია გენდერული ნიშნით შედგა.

ლალი ფაფიაშვილისა და ოთარ სიჭინავას კანდიდატურებს საქართველოს მთავრობა ევროპის საბჭოს 31 აგვისტომდე წარუდგენს“– აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში.

# რექს ტილერსონი ზიგმარ გაბრიელს შეხვდა



ვაშინგტონში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ზიგმარ გაბრიელი ჩავიდა. ის აშშ-ის სახელმწიფო მდივან რექს ტილერსონს შეხვდა. საუბრის ერთ-ერთი თემა რუსეთ-დასავლეთის ურთერთობები იყო.

გაბრიელმა განაცხადა, რომ რუსეთს აგრესიული ქმედების პასუხი უნდა გაეცეს. ამავე დროს, მან შენიშნა, რომ ზეწოლამ და სანქციებმა შესაძლოა რუსეთთან გამყინვარების ხანა წარმოქმნას.

– არსებობს საფრთხე იმისა, რომ რუსეთთან გამყინვარების ხანა დაიწყოს, რაც ძალიან გვაშფოთებს, – თქვა გაბრიელმა.

რექს ტილერონმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა რუსეთის გამო დაიძაბა. კრემლის აგრესიის განეიტრალება აუცილებელია.

– აშშ მშვიდობის შენარჩუნებისთვის ყველაფერს აკეთებს. ეს მომავალშიც გაგრძელდება, – განაცხადა ტილერსონმა.

# კურტ ვოლკერი: „დონბასისა და ყირიმის ოკუპაციაში განსხვავებას ვერ ვხედავ“



აშშ-ის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელმა დონბასის კონფლიქტის დარეგულირებაში კურტ ვოლკერმა განაცხადა, რომ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და დონბასში შეჭრა საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა.

– ყირიმის ანექსიასა და დონბასის ნაწილის ოკუპაციას შორის განსხვავებას ვერ ვხედავ. რუსეთმა ეს ტერიტორიები უკრაინას უნდა დაუბრუნოს! – ვოლკერმა ეს „დოიჩე ველესადმი“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

რუსი ექსპერტი ფიოდოროვი თვლის, რომ მანამ, სანამ ვლადიმერ პუტინი რუსეთის პრეზიდენტია, ევროპის მიერ რუსეთისადმი დაწესებული სანქციების შერბილებას ან გაუქმებას არ უნდა ველოდოთ. პუტინი საფრთხეს უქმნის პოლონეთს, ბალტიისპირეთს. ევროპაც იძულებულია, რუსეთის მიმართ კონტრზომები განახორციელოს.

– სანამ პუტინი პრეზიდენტია, ეს ასე იქნება, – თვლის ფიოდოროვი.

# კიევში რუსეთის პირველი არხის ჟურნალისტი ანა კურბატოვა გაიტაცეს



კიევში რუსეთის პირველი არხის ჟურნალისტი ანა კურბატოვა გაიტაცეს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას რუსული ტელეარხი „როსია 24“ ავრცელებს.

– დღეს კიევში გაიტაცეს ჩვენი კოლეგა, პირველი არხის ჟურნალისტი ანა კურბატოვა, რომელიც დაუდგენელი მიმართულებით წაიყვანეს, – ნათქვამია ტელეარხის განცხადებაში.

მოგვიანებით რუსეთის პირველმა არხმა გაავრცელა ვერსია, რომ ანა კურბატოვა შესაძლოა უკრაინის უსაფრთხოების სამსახურს დაეკავებინა.

– ანა კურბატოვა კიევის ცენტრში გაიტაცეს. ჩვენ ვერ ვუკავშირდებით მას. ჩვენი კოლეგა უცნობმა პირებმა მანქანაში ჩასვეს და წაიყვანეს გაურკვეველი მიმართულებით. ჩვენი მონაცემებით, ანა კურბატოვა უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა დააკავა, – ნათქვამია პირველი არხის განცხადებაში.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ჟურნალისტის მიმართ მუქარებს ჰქონდა ადგილი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# კიმ კარდაშიანი ქარიშხლისგან დაზარალებულთ 500 ათასი დოლარით დაეხმარება



რეალიტი-შოუს ვარსკვლავმა კიმ კარდაშიანმა განაცხადა, რომ 500 ათას დოლარს გამოყოფს აშშ-ის სამხრეთში ქარიშხალ „ჰარვისგან“ დაზარალებულთა დასახმარებლად.

ამის თაობაზე კარდაშიანმა საკუთარ ტვიტერში დაწერა.

– ჰიუსტონ, ჩვენ შენთვის ვლოცულობთ! დედაჩემი, ჩემი დები და მე 500 ათას დოლარს გადავცემთ წითელ ჯვარსა და ხსნის არმიას, – აღნიშნა კარდაშიანმა.

# მას მედიამ მელანია ტრამპი ფეხსაცმლის გამო გააკრიტიკა

მას მედია ირონიულად შეხვდა აშშ-ის პირველი ლედის მელანია ტრამპის ფოტოსურათს, რომელიც მისი და მისი მეუღლის დონალდ ტრამპის ტეხასში გამგზავრების წინაა გადაღებული და სადაც ქარიშხალ „ჰარვის“ მიერ გამოწვეული წყალდიდობა გრძელდება.

ფოტოსურათზე მელანია ტრამპი მაღალქუსლიან



ნავ-ფეხსაცმელშია გამოწყობილი.

– გულახდილად ვიტყვით, ეს ძალიან კარგი ფეხსაცმელია, მაგრამ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი შესაფერისია თუ არა იმ ადგილებში ჩასასვლელად, რომელიც წყალდიდობისგან დაზარალდა? – აღნიშნა ერთ-ერთმა ადგილობრივმა პორტალმა.

– ისინი სუპერმაღლებია და შესაძლოა მათ იმიტომ ატარებს, რომ წყალდიდობისგან თავი მშრალად დააღწიოს, ჩვენ კი უბრალოდ უცნაურად ვიქცევით, ამისგან დიდ პრობლემას რომ ვქმნით, – დაწერა საკუთარ კომენტარში ერთ-ერთმა გამოცემამ.

კიდევ ერთმა გამოცემამ აღნიშნა, რომ სტიქიური უბედურების ზონაში ჩასულმა პირველმა ლედიმ ქუსლიანი ფეხსაცმელი თეთრი ბოტასებით შეცვალა.

თავად მელანიამ კი საკუთარ კომენტარში განაცხადა, რომ ეროვნული კატასტროფის დროს ყველას მხოლოდ მისი ფეხსაცმელი აღელვებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

### სითხე მენტორი — 4

**დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.**

**გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.**

**☎ 599-73-48-21**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.**

**ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.**

**მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

●სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავებაშეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ვაკო ყაზაიშვილი: „იმის დამტკიცება მსურს, რომ კარგი ფეხბურთელი ვარ“

საქართველოს ნაკრების შემტევი ვაკო ყაზაიშვილი ნაკრებს ყველაზე გვიან, გუშინ შეუერთდა. ჩვენებური თანაგუნდელთაგან ყველაზე შორს, ამერიკაში თამაშობს და ჩამოსვლა ამიტომაც დაუგვიანდა.

შეგახსენებთ, რომ სან ხოსეში გადასვლამდე ყაზაიშვილი პოლონურ ლეგიაში ირიცხებოდა და მისი წარსული სწორედ პოლონელმა ჟურნალისტებმა გაიხსენეს.

– ცოტა ხნის წინ ამერიკულ კლუბში გადახვედი და ეს ბევრისთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება იყო. რატომ გადადგი ეს ნაბიჯი?

– ჩემთვის ფინანსურად და სპორტული კუთხით მომგებიანი გადაწყვეტილება იყო. ამერიკული კლუბის სპორტული დირექტორი ჰოლანდიაში თამაშის პერიოდიდან მიცნობდა და მითხრა, რომ სან ხოსეში გადასვლის შემთხვევაში, კლუბის თამაშს ჩემ გარშემოააწყობდნენ. არ ვმალავ, რომ წინა მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, ხშირად თამაში მსურს და იმის დამტკიცება, რომ კარგი ფეხბურთელი ვარ.

– სხვა ქვეყნებიდან გქონდა შემოთავაზებები?

– არა. ცოტას თუ დავიცდიდი, ჰოლანდიიდან დამიკავშირდებოდნენ, რადგან იქ ჩემი შესაძლებლობა ყველაზე კარგად იციან. თუმცა, როგორც კი სან ხოსეს წინადადება მივიღე, დაუფიქრებლად მოვაწერე ხელი 4-წლიან ხელშეკრულებას, რითაც კმაყოფილი ვარ.



– როგორ შეაფასებდი ლეგიას? იმედგაცრუებული ხარ?

– რა თქმა უნდა. ლეგიასთან ხელი სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს მოვაწერე, ჩავედი და 3 დღეში უკვე ჩემპიონთა ლიგაზე, დორტმუნდის წინააღმდეგ მათამაშეს. ამის შემდეგ, მწვრთნელი შეიცვალა და იაცეკ მაგიერასთან თავიდანვე პრობლემები შემექმნა. მან მოსვლისთანავე მითხრა, რომ კლუბში მისი მოყვანილი არ ვიყავი და ჩემი ადგილი აქ არ იყო. ამასთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება მაქვს, რომლის თქმისგანაც თავს შევიკავებ. ძველი ჭრილობების გახსენება კარგს არაფერს მომიტანს. მინდა, პასუხი თამაშით მოედნიდან გავცე.

– ვარშავიდან დადებითი მოგონებები გამოგყვა?

– დიახ. ძალიან ბევრ მაღალი დონის ფეხბურთელთან მომიწია მუშაობა. ისეთებთან, როგორებიც არიან: ნემანია ნიკოლიჩი, ალექსანდრ პრივავიჩი და ვადის ოჯიჯა-ოფოე. ჩემპიონთა ლიგაზე ერთად ვითამაშეთ და ამასთანავე, პოლონეთის ჩემპიონატი მოვიგეთ. ვიცი, რომ ბოლო პერიოდში კლუბმა წამყვანი მოთამაშეები დაკარგა, თუმცა ლეგია დიდი კლუბია და მჯერა, სახელს მალე დაიბრუნებს.

– კლუბიდან წამოსვლის შემდეგ მწვრთნელებთან და ფეხბურთელებთან ისაუბრე?

– მწვრთნელებთან ნამდვილად არ მისაუბრია, ფეხბურთელებთან – კი. ოჯიჯა-ოფოესთან, კასპერ ჰამალაინენთან, გილერმესთან და მიხაელ ალექსანდროვიჩთან კონტაქტი დღემდე მაქვს. ცოტა ხნის წინ ვნახე, რომ ოჯიჯა-ოფოემ ოლიმპიაკოსის მაისურით ჩემპიონთა ლიგაზე გაიტანა. მიხარია, რომ მოხვდა იქ, სადაც სურდა კარიერის გაგრძელება.

– ის შეძლებდა ამერიკაში კარგად თამაშს?

– ნებისმიერ ლიგაში მაღალ დონეზე ითამაშებდა. უნიკალური ფეხბურთელია, უდიდესი ტალანტით. სადაც ითამაშებს, ყველგან ლიდერი იქნება.

– ის ფაქტი, რომ კარიერას ამერიკაში აგრძელებ, ნაკრებში პრობლემებს შეგიქმნის?

– უახლოეს დღეებში საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, ირლანდიასა და ავსტრიის წინააღმდეგ ვითამაშებ. ამ მხრივ ნაკრებში ყველაფერი რიგზე მაქვს.

– ამერიკაში თამაშს მუდმივად აპირებ თუ ევროპაში დაბრუნება გსურს?

– არ ვიცი, ამაზე ახლა ნამდვილად არ ვფიქრობ, რადგან სან ხოსესთან 4-წლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და მინდა, ჩემი თამაშით კლუბისთვის მაქსიმუმი გავაკეთო.

## საბურთალო ახალგაზრდულ ჩემპიონთა ლიგაზე ბურსას გაეჯიბრება



უეფას ახალგაზრდულ ჩემპიონთა ლიგაზე 2017-18 წლების სეზონზე საბურთალოს მეტოქე თურქული ბურსასფორი იქნება. კენჭისყრა უეფას შტაბ-ბინაში გაიმართა და დედაქალაქელთა მეტოქეც იქ გაირკვა. პირველ შეხვედრას საბურთალოელები 27 სექტემბერს თურქეთში გამართავენ, განმეორებითი შეხვედრა თბილისში, 18 ოქტომბერს შედგება.

ამ წყვილის გამარჯვებული მეორე ეტაპზე ისრაელის მაკაბისა და სერბეთის ბროდარაცის გამარჯვებულს დაუპირისპირდება.

## ზაზა ნადირაძე ქართული კანოეს ისტორიაში ჩაეწერა



ზაზა ნადირაძე პირველი ქართველი კანოისტია, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის მედალი მოიგო. 23 წლის სპორტსმენმა ჩეხეთის ქალაქ რაჩიცეში ერთადგილიანი კანოეთი 200-მეტრიან დისტანციაზე მეორე ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედლით დაიმშვენა მკერდი. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ბელარუსმა არტიომ კოზირმა მოიპოვა, რომელმაც დისტანცია 38,161 წამში დაფარა. ზაზა გამარჯვებულს მცირედით ჩამორჩა – 38,439, მე-3 ადგილი კი ირანელმა ადელ მოჯალალიმოჩადამიმ აიღო – 38,605.

მსოფლიოს პრიზიორთან სამინისტროში გამართულ შეხვედრას მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, მინისტრის მოადგილე აკაკი ლოდია, კანოეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქაცარავა და ზაზას პირადი მწვრთნელი დაესწრნენ.

ზაზა ნადირაძე:

– მადლობა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ყურადღებისთვის. მიხარია, რომ ჩვენ მიმართ ასეთ ყურადღებას იჩენენ. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატს, ძალიან ცოტა დამაკლდა ჩემპიონობამდე და ვეცდები, მომავალში როგორც საკუთარი შედეგი, ასევე მედლის ხარისხი გავაუმჯობესო.

ჩეხეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს სახელით კიდევ ორმა სპორტსმენმა იასპარეზა. მარიამ ქერდიკაშვილმა და ნატო ჩხუტიაშვილმა ორადგილიანი კანოეთი 500 მეტრზე დისკვალიფიკაცია მიიღეს, ქერდიკაშვილმა კი ერთადგილიანით 200 მეტრზე საკვალიფიკაციო მე-7 ადგილზე დაასრულა და ნახევარფინალში გადასულმა ისევ მე-7 პოზიცია დაიკავა.

## დღეს სატრანსფერო ფანჯარა იხურება



დღეს სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეა და ბევრი რამ გადაწყდება. თუმცა, მთავარი ყურადღება ფელიპე კოუტინიოზეა გადატანილი.

მერსესაიდული ლივერპულის ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველი ფილიპე კოუტინიო მალე ბარსელონას ფეხბურთელი გახდება.

ევროპული მედიის ინფორმაციით, ლივერპულის წარმომადგენლებმა ბრაზილიელ ფეხბურთელს უკვე განუცხადეს, რომ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე იგი ბარსელონას ფეხბურთელი გახდება, კლუბები 160 მილიონ ევროზე შეთანხმდნენ.

მერსესაიდელები უკვე ცდილობენ კოუტინიოს შემცვლელის გაფორმებას, ლივერპულური კლუბი მოლაპარაკებებს ტომას ლემართან (მონაკო) და ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენთან (არსენალი) აწარმოებს.

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარ მწვრთნელს, ჟოზე მოურინიოს ლესტერ სიტის ნახევარმცველის, რიად მაჰრეზის გადაბირება სურს. ალჟირელი განიხილება ფეხბურთელად, რომელიც გუნდს შეტევაში სისწრაფის დამატებაში დაეხმარება.

ალჟირელის შესანიშნავმა თამაშმა უკვე მიიპყრო ისეთი გრანდების ყურადღება, როგორებიც ბარსელონა და არსენალი.

შეგახსენებთ, რომ მაჰრეზმა კლუბს ტრანსფერზე დაყენება მოსთხოვა და მალევე მიიღო შეთავაზება არსენალისგან. მისი სატრანსფერო ღირებულება დაახლოებით 40 მილიონი ევრო იქნება.

## ვაჟა მარგველაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაო მოიპოვა



ბუდაპეშტში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ძიუდოში, ქართული დელეგაციისთვის მეორე დღე წარმატებული გამოდგა – ვაჟა მარგველაშვილმა 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მედლისკენ მიმავალ გზაზე მარგველაშვილს სერიოზული ჯახი მეოთხედფინალში მოუწია. მანამდე იორდანიელი ბილალ ეიელსალმანი 2 წუთსა და 17 წამში გაფრთხილებებით ჩამოიშორა. სამხრეთაფრიკელი სიაბულელა მაბულუ 56 წამში შებოჭა. ამერიკელ რაიან ვარგასს წუთი და 25 წამი აკმარა. მეოთხედფინალში კი მსოფლიოს ჩემპიონ სამხრეთკორეელ ბაულ ანს დაუპირისპირდა, რომელსაც მანამდე ორჯერ შეხვედროდა და ორჯერვე წაეგო. უნგრულ ტატამზე კი რევანში დაძაბულ, 8-წუთიან, უილეთო ბრძოლაში აილო, მომგებიანი შიდოს უპირატესობით.

ნახევარფინალში მეტოქედ ჰიფუმი აბე ერგო. ქართულ-იაპონური დაპირისპირება მე-4 წუთზე, ჩვენებურის ვაზარიზე დაცემით და შებოჭვით დასრულდა. თუმცა, იქამდე იყო ერთი ეპიზოდი, როდესაც მარგველაშვილის მიერ შესრულებული გდება ტატამის მსაჯმა ვაზარით შეაფასა. მსაჯთა მაგიდამ კი ვიდეოგანხილვის შემდეგ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო და ქულა გააუქმა.

მარგველაშვილი რეპეშაჟის ფინალში გადაერთო, სადაც სამხრეთ კორეის ნაკრების კიდევ ერთი წევრი ლიმვან კიმი დაამწუხრა. თავიდან ქართველი ძიუდოისტი ვაზარით ჩამორჩა, მაგრამ მეოთხე წუთის დასაწყისში თავადაც შეასრულა ვაზარი, ზედ შებოჭვაც მიაყოლა და საქართველოს ნაკრებს მიმდინარე ჩემპიონატზე პირველი მედალი მოუტანა.

## ვაისმა ასისტენტად კიტკა აიყვანა



საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების სამწვრთნელო შტაბს გამოცდილი სპეციალისტი შეუერთდა. ვლადიმირ ვაისის ასისტენტის პოსტს სლოვაკი ბორის კიტკა დაიკავებს. 47 წლის სპეციალისტი 2007-08 წლის სეზონში სლოვაკეთის სლოვანის მთავარი მწვრთნელი იყო. 2009-10 წლებში სლოვაკეთის 21 წლამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს იკავებდა, 2012-15 წლებში კი საფეხბურთო კლუბ კაირათში, ვლადიმერ ვაისის ასისტენტად მუშაობდა.

საფეხბურთო კარიერის დროს პოზიციით მცველი კიტკა სლოვანის, ტრნავას, ბრატისლავას ინტერის, ბანიკისა და ავსტრიული რიდის ფეხბურთელი იყო.

კიტკა ეროვნული ნაკრების უახლოესი 2 მატჩის მზადების პროცესშია ჩართული.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ირლანდიასთან მატჩისთვის მზადების ფარგლებში რამდენიმე ვარჯიში გამართა. გუნდი ხან სატრენაჟორო დარბაზშია, ხანაც – ზესტაფონის საწვრთნელ ბაზაზე. ამ დროისთვის ეროვნული ნაკრები სრული შემადგენლობით ემზადება.

სამედიცინო ჯგუფის გადაწყვეტილებით, ტრავმის გამო გუნდს ირლანდიასთან შეხვედრაში გიორგი ლორია ვერ დაეხმარება. ნუკრი რევიშვილი უკვე გუნდთან ერთადაა და საწვრთნელ პროცესში სრული დატვირთვით ჩაერთო. ტრავმის გამო ჯიმი ტაბიძე კვლავ ვერ ვარჯიშობს, ჯერჯერობით უცნობია, შეძლებს თუ არა უახლოეს 2 შეხვედრაში გუნდის დახმარებას ახალგაზრდა ფეხბურთელი.

გიორგი ქვილითაია:

– დანაკლისი გვაქვს იმ მხრივ, რომ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლია, თუმცა საქართველოს ნაკრებისთვის დიდი უპირატესობაა ირლანდიის წინააღმდეგ საკუთარ კედლებში თამაში. ვფიქრობ, მაყურებელთა მხარდაჭერით შეგვიძლია მათზე ძლიერები ვიყოთ.

ნიკა კვეკვესკირი:

– ამ ციკლში საშინაო 2 მატჩი დაგვრჩა და ეს ჩვენი შანსია, დავუმტკიცოთ მაყურებელს და პირველ რიგში, ჩვენს თავს, რომ შეგვიძლია ფეხბურთის თამაში. ირლანდიასთან საკმაოდ ცუდი შედეგები გვაქვს ურთიერთდაპირისპირებაში და მაქსიმალურად ვეცდებით, ეს ნავსი გავტეხოთ.

## შედეგები

**29 აგვისტო**

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**

**კაცები**

ა.ზვერევი-კინგი ................ 7:6,7:5,6:4
ჩილიჩი-სანდგრენი ...... 6:4,6:3,3:6,6:3
ცონგა-კოპილი .................. 6:3,6:3,6:4
ისნერი-ერბერი ............ 6:1,6:3,4:6,6:3
კარენო ბუსტა-ე.კინგი ....... 6:3,6:2,7:6
ტომპსონი-სოკი ...... 6:2,7:6,1:6,5:7,6:4
პუიე-ბემელმანსი ................ 6:3,6:4,6:4
კუერი-სიმონი ..................... 6:4,6:3,6:4
მიულერი-ტომიჩი ......... 3:6,6:3,6:4,6:4
რამოსი-ისტომინი .. 4:6,7:6,7:5,6:7,7:5
კუკუშკინი-ფერერი ..... 4:6,6:3,6:2,6:1
მ.ზვერევი-კვიატკოვსკი 7:6,4:6,4:6,7:5,6:3
ლუ-ხაჩანოვი .............. 4:6,6:2,6:3,6:3
ანდერსონი-არაგონი ......... 6:3,6:3,6:1
შვარცმანი-ბერლოკი .......... 6:2,6:1,6:3
ედმუნდი-ჰაასე ................... 6:3,7:5,6:3
სელა-ეუბენქსი .................. 6:2,6:4,6:2
ალბოტი-ესკობედო ...... 7:5,4:6,6:2,6:4
პერი-ლაჩკო ....................... 6:3,6:2,7:6
ჩუნგი-სებალიოსი ........ 3:6,7:6,6:4,6:3
ფაბიანო-სმიტი ............ 7:6,6:4,3:6,7:6
ლორენცი-სოუზა ......... 4:6,6:3,7:6,6:2
გულბისი-ჯანეზი ......... 6:4,6:7,6:2,7:5
ჩორიჩი-ვესელი ..................7:6,7:6,6:2
შაპოვალოვი-მედვედევი .... 7:5,6:1,6:2
ჯონსონი-ალმაგრო ............6:4,7:6,7:6
მაუ-ფუშოვიჩი ........ 6:3,2:6,6:4,2:6,7:6
დონალდსონი-ბასილაშვილი 6:0,4:6,6:3,7:6
ტიპსარევიჩი-კოკინაკისი 6:7,3:6,6:1,7:6,6:3
ფ.მაიერი-დუტრა სილვა 7:5,0:6,6:3,6:4

**ქალები**

შარაპოვა-ჰალეპი ...............6:4,4:6,6:3
მუგურუსა-ლეპჩენკო ................ 6:0,6:3
ვოზნიაცკი-ბუზამესკუ ............ 6:1,7:5
კრუნიჩი-კონტა ..................4:6,6:3,6:4
ვ.უილიამსი-კუჟმოვა .........6:3,3:6,6:2
ციბულკოვა-ჩეპელოვა .......6:7,6:3,6:2
კვიტოვა-იანკოვიჩი ................. 7:5,7:5
სევასტოვა-ვიტჰოფტი ............. 7:5,6:1
გარსია-მარტინკოვა ................. 6:0,6:1
ბარტი-კონიუჰი ..................4:6,6:0,6:1
პენგი-ჰესე ................................. 6:4,6:1
საკარი-ბერტენსი ...................... 6:3,6:4
ლუჩიჩი-პუიგი .....................6:4,6:7,7:6
გორგესი-ბეკი ........................... 6:1,6:0
რიბარიკოვა-ჯორჯი ............... 6:3,6:4
კენინი-დევისი ........................ 7:5,7:5
მაკაროვა-ბარტელი ................. 6:2,6:1
სუარეს ნავარო-სოულუ ........... 6:4,6:2
როდიონოვა-ჰოგენკამპი .......... 7:5,7:5
დოდენი-პარმენტიე ...........3:6,6:0,7:6
კორნე-უოტსონი ...................... 6:4,6:4
ალექსანდროვა-ცაია ................ 6:2,6:3
კრ.პლიშკოვა-ეგუჩი ................ 6:2,6:2
დუანი-ლიუ ............................. 7:6,7:6
ტომლიანოვიჩი-ლარსონი ........ 7:5,6:4
ჟენგი-ვან უიტვანკი ...........6:4,3:6,6:1
სასნოვიჩი-ბოუზრუპი ............. 6:2,6:2
სტივენსი-ვინჩი ........................ 7:5,6:1
კოზლოვა-ბეგუ ........................ 6:2,7:6
ვეკიჩი-ჰადად მაია ................... 6:2,6:1
ვიკერი-ვიხლიანცევა .........4:6,6:4,6:1
ბაბოში-გოლუბიჩი .............7:5,5:7,7:5

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## მოცეკვავე პოლიციელი კარნავალის ვარსკვლავად იქცა



მოცეკვავე ბრიტანელი პოლიციელი ლონდონში მიმდინარე ნოტინგ-ჰილის კარნავალის ვარსკვლავად იქცა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

34 წლის დენიელ გრემის ცეკვის დროს მის გარშემო უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ერთ-ერთი მაყურებლის მიერ გადაღებულმა და ტვიტერში განთავსებულმა ვიდეომ უამრავი გაზიარება მიიღო.

წლის დასაწყისში გრემმა მონაწილეობა მიიღო სატელევიზიო კონკურსში, მაგრამ მის ფინალამდე ვერ მიაღწია. დროდადრო ის საკუთარ ცეკვის უნარს ინსტაგრამის საშუალებით უკეთებს რეკლამას.

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიური ნოტინგ-ჰილის კარნავალი 1966 წლიდან იმართება. მასში ჩვეულებრივ წამყვან როლს ბრიტანეთის აფროკარიბული წარმოშობის წარმომადგენლები ასრულებენ.

## პორნომსახიობებმა რეალურ ცხოვრებაში სექსზე მითი დაამსხვრიეს



ავსტრალიელმა პორნომსახიობებმა ლიუკ დინმა, ლიუსი ბიმ და რაიან ჯეიმსმა თავიანთ მაყურებლებს მოუწოდეს, ეკრანზე ნანახისთვის მიბაძვა არ სცადონ. ამის თაობაზე ისინი ერთ-ერთ ადგილობრივ გამოცემას ესაუბრნენ.

დინის თქმით, მის საყვარლებს ხშირად სურთ, რომ პორნოში ნანახი რეალურ ცხოვრებაში მოსინჯონ. ის მათ პასუხობს, რომ წინააღმდეგი არ არის, თუმცა გულახდილად აფრთხილებს, რომ ეს მათ არ მოეწონებათ.

– ეს ეკრანზე ურიგოდ არ ჩანს, მაგრამ ის მხოლოდ ფანტაზიაა, – განმარტა პორნომსახიობმა ინტერვიუში.

კოლეგის აზრს იზიარებენ რაიან ჯეიმსი და ლიუსი ბიც. მათი მტკიცებით, პორნოში ნანახის გამეორება არ ღირს და ის უბრალოდ კარგი სანახავია და მეტი არაფერი.

## მონაზვნებად გადაცმულმა ლათინოამერიკელმა ქალებმა ბანკის გაძარცვა სცადეს



ორი ქალი, რომლებიც მონაზვნების სამოსში იყვნენ გამოწყობილები, ამერიკის პენსილვანიის შტატის ქალაქ ტანერსვილში ბანკის გაძარცვას შეეცადა. ამ ინფორმაციას ფოქს–ნიუსი ავრცელებს.

ინციდენტი 28 აგვისტოს მოხდა. ქალები ბანკის ოფისში ნაშუადღევს მივიდნენ. ერთ-ერთი მათგანი მოლარესთან მივიდა, პისტოლეტი ამოიღო და მისთვის ფულის გადაცემა მოითხოვა. ამ დროს მეორე ქალი შესასვლელ კართან იდგა.

ეჭვმიტანილები აღწერეს, როგორც საშუალო აგებულების, დაახლოებით 155 სანტიმეტრი სიმაღლის ლათინოამერიკული წარმოშობის ქალები. ისინი სახეს მონაზვნის სამოსით იფარავდნენ, ერთ-ერთს ასევე შავი ფერის სათვალე ეკეთა.

აღსანიშნავია, რომ ძარცვის მცდელობა წარუმატებელი გამოდგა და ქალები ბანკიდან ხელცარიელები წავიდნენ. სავარაუდოდ, ისინი ბანკიდან ხელმოცარულები იმიტომ გაიქცნენ, რომ მოლარემ სიგნალიზაცია გაააქტიურა.

## ალიგატორმა ამერიკელი პოლიციელი შეაშინა



ამერიკის ლუიზიანას შტატში ალიგატორმა პოლიციის შერიფის თანაშემწე შეაშინა, რომელიც რეპტილიის დაჭერაში იღებდა მონაწილეობას.

დაჭერილ ალიგატორს პირი საიზოლაციო ლენტით აუკრეს. პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი ამის შემდეგ გვერდით გადგა, ხოლო მეორე მტაცებელთან დარჩა. მოულოდნელად რეპტილია მისკენ მიტრიალდა. ცხოველის თავთან დახრილმა პოლიციელმა მოულოდნელობისგან იღრიალა და ჰაერში შეხტა. ამის შემდეგ მან გულზე ხელი იტაცა და სიცილით გახტა გვერდზე.

მომხდარი ვიდეოზე იქნა გადაღებული. შერიფის ოფისის ოფიციალურ გვერდზე განთავსებული ვიდეორგოლი 553 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა და ხუთი ათასამდე მოწონებაც მიიღო.

## პარიზის უძველესი ბაღის განახლება 60 მილიონი ევრო დაჯდება

პარიზში უძველესი ბაღის განახლებაა დაგეგმილი, რომელიც 60 მილიონი ევრო ეღირება. დედაქალაქის მესვეურებს სურთ, რომ ის საფრანგეთის ერთ-ერთ საუკეთესო გასართობ პარკად აქციონ.

157 წლის ბაღ „აკლიმატასიონს" 1984 წლიდან ჰოლდინგი LVMH-ი მართავს. მასვე ეკუთვნის 80-პროცენტიანი წილი საპარტნიორო ფონდ ჩომპაგნიე დეს ძლპეს-ში, რომელიც თემატური პარკებისა და სამთო-სათხილამურო კურორტების დეველოპერია.

ბაღში სამუშაოები 4 სექტემბერს დაიწყება. ის 2018 წლის მარტამდე გაგრძელდება. 17 ახალი ატრაქციონის აგება იგეგმება, ზოგიერთი მათგანი „სტიმპამკის" სტილში იქნება შესრულებული.

2025 წლისთვის ბაღის დამთვალიერებელთა რაოდენობის 3 მილიონ ადამიანამდე გაზრდა იგეგმება.



**მოამზადა**
**კახა ხატიაშვილმა**

## პლეიბოის მოდელს საკუთარი დიდი მკერდი არ მოსწონს



პლეიბოის ახალზელანდიელმა მოდელმა სარა ჰარისმა განაცხადა, რომ მეტისმეტად დიდმა მკერდმა მას ცხოვრება დაუნგრია. ამის თაობაზე, მან იუთუბიში საკუთარ ბლოგში ისაუბრა.

23 წლის გოგონამ მკერდი ქირურგიული ოპერაციის დახმარებით გაიდიდა. ამის შემდეგ ის ძლიერ ტკივილებს გრძნობდა და საკუთარი თავის მიმართ რწმენა დაკარგა. მოდელის განმარტებით, მეტისმეტად დიდი მკერდის გამო მას საინტერესო ფოტოსესიებზე აღარ იწვევენ და იძულებული გახდა, ოპერაციის შედეგი დაემალა.

მან თავის მაყურებლებს მოუწოდა, არ მიიღონ ნაჩქარევი და წინდაუხედავი გადაწყვეტილებები და განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში მკერდის კომფორტულ ზომამდე შემცირებას გეგმავს.

## დათვები სასუსნავისთვის მებაიდარკეებს ესტუმრნენ



მებაიდარკეების ბანაკს, რომლებიც ნორვეგიის შპიცბერგენის არქიპელაგის კუნძულებზე მოგზაურებს ეკუთვნით, სამი დათვი ესტუმრა.

ტურისტებმა ბანაკი ჭურჭლის სანაპიროზე დასარეცხად დატოვეს. უკანა გზაზე მიმავლებმა დათვების ნაკვალევი შენიშნეს. გაირკვა, რომ ბანაკში მათი არყოფნის დროს იქ დედა დათვი თავის ორ ბელთან ერთად სტუმრობდა.

ცხოველები დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში იქექებოდნენ მებაიდარკეების ნივთებში, რათა რაიმე სასუსნავი ეპოვათ. ტურისტები დათვების წასვლას თავიანთ ბაიდარებში ელოდებოდნენ. ამ შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

## ასტროპროგნოზი

### 31 აგვისტოსთვის



**ვერძი** – დღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. ეცადეთ, სულიერი წონასწორობა შეინარჩუნოთ. **კური** – ელოდეთ სასიამოვნო სიურპრიზს. შესაფერისი დღეა პირად ცხოვრებაში ცვლილებების შესატანად. **ტყუპები** – ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობის უნარი გჭირდებათ. **კირჩხიბი** – საქმიანი ურთიერთობები კმაყოფილებას ვერ მოგგვრით. ეცადეთ, თავი შეიკავოთ ემოციების გამოვლენისაგან. **ლომი** – მოულოდნელი ინფორმაცია მთელ გეგმებს თავდაყირა დაგიყენებთ. იოლად არავის მიენდოთ. **ქალწული** – კეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერ პრობლემას ძალდაუტანებლად და იოლად აგვარებთ. წინასწარ ნურაფერს დაგეგმავთ. **სასწორი** – პრობლემები არ გაწუხებთ. მთავარია, არ დაიბნეთ და გადაწყვეტილებები ნათელი გონებით მიიღოთ. **ღრიანკალი** – ემოციები მძლავრობს. დამშვიდდით და მხოლოდ საყვარელი საქმე აკეთეთ. **მშვილდოსანი** – ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად აგიმაღლდებათ. სასიამოვნო ინფორმაციას ელოდეთ. **თხის რქა** – დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე და თანხმობა. ეცადეთ, საყვარელ ადამიანთან მეტი დრო გაატაროთ. **მერწყული** – პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა არ გარგებთ. ეცადეთ, განმარტოვდეთ და სულიერი სიმშვიდე მოიპოვოთ. **თევზები** – ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, რაც მომავალ წარმატებას ხელს შეუწყობს, თუმცაღა, წინდახედულობა მაინც გმართებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ქართული კონიაკი; 2. მონასელიძის სკულპტურული ანსამბლი თბილისში; 3. მაღალხარისხოვანი ქვანახშირი; 4. მე-19 საუკუნის ქართველი მწერალი; 5. ურთიერთდათმობის გზით მიღწეული შეთანხმება; 10. იაპონური ავტომობილი; 11. გამოჩენილ ადამიანთა სასაფლაო; 12. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 13. მხარე გერმანიაში; 16. საერთაშორისო კომპიუტერული საინფორმაციო სისტემა; 17. შენობის, არქიტექტურული ნაგებობის მხატვრული ორნამენტი; 19. ორსართულიანი ბრიტანული ავტობუსი; 21. პორტატული მფრინავი აპარატი; 23. მანძილის საზომი ინგლისური ერთეული.

**თარაზულად:** 6. ძვირფასი ქვებით ვაჭრობის ცენტრი ბელგიაში; 7. სამხედრო-ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 8. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 9. ფრანგული სამგზავრო თვითმფრინავების სერია; 14. უზბეკეთის დედაქალაქი; 15. ჰოლანდიური ლუდი; 18. მეცხოველეობის ფერმა აშშ-ში; 20. მეზღვაურთა მაუდის კურტაკი; 22. უნგრელ პარტიზანთა ძველი სახელწოდება; 24. საზღვაო მოგზაურობა; 25. ჩინური ფაიფური; 26. დიდი წვეულება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. პროცესი; 2. თამადა; 3. ახტაჯანა; 4. „მიცუბიში"; 7. ვაშლოვანი; 8. მჭედლიძე; 12. ზარზუელა; 14. პარაგვაი; 16. ალგებრა; 17. ბერბიჭა; 19. ბაშო; 20. „რომა".

**თარაზულად**: 5. „ბრასკუბა"; 6. ჩიხთიკოპი; 9. პელოტა; 10. „დურუჯი"; 11. ჭენჭი; 13. გაუდა; 15. ხარება; 18. ფლატე; 21. „ხვანჭკარა"; 22. ბეროუზი; 23. ბოლვერა.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ისტვუდი; 2. ჩოქბჯენი; 3. ფილატელია; 4. ამირანი; 5. გინეკოლოგი; 10. ქორალი; 11. ჰამბურგი; 12. „სალხინო"; 13. არეშიძე; 16. ბალისტიკა; 17. სხვიტორი; 19. ავლაბარი; 21. ფლუსი; 23. ფარჩა.

**თარაზულად**: 6. ქსენოფობია; 7. ამტყელი; 8. დურაჯი; 9. სტენდალი; 14. „არსენალი"; 15. „მილენიუმი"; 18. დოგმა; 20. თხუნელა; 22. ნეფრიტი; 24. „ალმაზა"; 25. ვილნიუსი; 26. ჩოჩორი.

# გიორგი ნაკაშიძეს ბათუმში არ ამღერებენ



„იქს ფაქტორის" გამარჯვებულს გიორგი ნაკაშიძეს მშობლიურ ქალაქ ბათუმში არ ამღერებენ.

ინფორმაციას ამის შესახებ ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ავრცელებს:

– ჩემი მხარდაჭერა ნაკაშას!

მახინჯო ბათუმის მერიავ, ვინ გყავთ „იქს ფაქტორის" ბათუმელ გამარჯვებულ გიორგი ნაკაშიძეზე უკეთესი და პოპულარული, არც ერთ ღონისძიებაზე რომ არ ამღერებთ მესამე წელია?!

რუსთავი 2-ის სახე რომ იყო, ჩვენს კონცერტებზე რომ მღეროდა და სიმართლის მხარეს რომ იდგა, ამიტომ დაკარგა მშობლიურ ქალაქში სიმღერის უფლება?!

ეგ ისევ მაგარი იქნება და თქვენი სახელები არავის აღარ ემახსოვრება, მაგ სკამებში რომ აღარ ისხდებით!

# ქეთი დოლიძე ჟურნალისტებს აფრთხილებს



რეჟისორი ქეთი დოლიძე ჟურნალისტებს მოუწოდებს, ტყუილების გავრცელებისგან თავი შეიკავონ.

მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რეჟისორმა მამის სიკო დოლიძის მემორიალური ბინა-მუზეუმი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ბანკიდან დაიხსნა, ისევ ბანკში დააბრუნა.

ქეთი დოლიძე:

– კიდევ ერთხელ: სოს!

უნამუსო ხალხი, ზოგი ჟურნალისტიც ავრცელებს ცრუ ინფორმაციას! სიკო დოლიძის ბინა დაბრუნდა და არავითარ ბანკში არ არის! გრცხვენოდეთ! გიჩივლებთ! ეს ახალი თემის აგორებაა! მორჩით!

# იუნა შაფათავა სერიალს გადაიღებს



ტელეწამყვანი იუნა შაფათავა, რომელიც ამერიკაში იმყოფება, პროდიუსერებს სერიალის დაფინანსებას სთხოვს:

– პროდიუსერებო და სპონსორებო, გთხოვთ, დამიფინანსოთ სერიალის „ქართველები ამერიკაში" გადაღება. ამერიკაშიც გავყიდი, მოვხსნით რეიტინგებს, საკუთარი იდიოტობისგან „უილბლოების" კლიშეთი სიტყვას გაძლევთ, ამ სერიალის შემდეგ რუსეთიც, ამერიკაც, ევროპაც, ნატოც – ყველა თავს დაგვანებებს, „გიჟი-თავისუფალია"-ს პრინციპით.

მიყვარხართ, უბრალოდ ასეთ სატირას ვერ გავმაზავ. კი, მე შევიცვალე. არ იფიქროთ, რომ გავბოროტდი. უფრო ღია და პირდაპირი გავხდი, ვიდრე ოდესმე.

როდესაც უკან იწვავ ყველა ხიდს და თავისუფალ ვარდნაში ხარ ქარის დინების იმედზე, ხვდები, რომ ერთადერთი შენი იარაღი სიმართლეა და თვალგახელილობა.

უთხარით ერთმანეთს სიმართლე. ბევრად წინ ვიქნებით.

პ.ს. აქ ვიშოვი სპონსორს!

# ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმი „საშიში დედა" იქნება



ახალგაზრდა რეჟისორის ანა ურუშაძის ფილმი „საშიში დედა" ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმი იქნება. ლოკარნოს და სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალების გამარჯვებული ფილმი გამარჯვებისთვის ამჯერად ამერიკული კინოაკადემიის დაჯილდოების რიგით 90-ე საიუბილეო ცერემონიალზე იბრძოლებს.

ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმი კინოსახლის განახლებულ დარბაზში დასახელდა. სპეციალურმა კომისიამ 4 ფილმის ნახვის შემდეგ დახურული კენჭისყრის შედეგად შეარჩია ნამუშევარი ოსკარის საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციისთვის.

ეროვნულმა კინოცენტრმა ოსკარზე წარსადგენი ფილმისთვის განაცხადების მიღება აგვისტოს დასაწყისში დაიწყო და ერთ კვირაში დაასრულა. ამერიკის კინოაკადემიის მოთხოვნების გათვალისწინებით, ეროვნულ კინოცენტრში სულ 4 განაცხადი შევიდა, ამიტომაც ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად წელს 4-მა ქართულმა ფილმმა იბრძოლა: ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმმა „ჩემი ბედნიერი ოჯახი", რეზო გიგინეიშვილის ფილმმა „მძევლები", ანა ურუშაძის ფილმმა „საშიში დედა" და გიორგი ბარაბაძის ფილმმა „ლუკა".

ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმის გამოსავლენად ეროვნულმა კინოცენტრმა სპეციალური კომისია შექმნა, რომელიც კინოსექტორის ავტორიტეტული წევრებით დაკომპლექტდა. კომისიაში გაერთიანდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე კახი კანდელაკი და ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ზურაბ მაღალაშვილი.

კომისია სულ 9 წევრისგან შედგებოდა: რეჟისორი ლანა ღოღობერიძე, სცენარისტი კოტე ჯანდიერი, რეჟისორი და პროდიუსერი ოთარ შამათავა, მსახიობი ია სუხიტაშვილი, ოპერატორი არჩილ ახვლედიანი, რეჟისორი გიორგი ოვაშვილი, კინომცოდნე ქეთი ტრაპაიძე, კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი ზურაბ მაღალაშვილი და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე კახი კანდელაკი.

ამ კომისიის გადაწყვეტილებით „საშიში დედა" ოსკარის უცხოენოვან ნომინაციაში მოსახვედრად მოემზადება. ახალგაზრდა რეჟისორის ფილმში მთავარ როლებს ნატა მურვანიძე და დიმიტრი ტატიშვილი ასრულებენ. „საშიში დედა" ანა ურუშაძის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია. მასში აღწერილია, თანამედროვე ცხოვრების ფონზე, ქალის რთული და შინაგანი თუ სოციალური პრობლემებით დაძაბული ყოველდღიურობა. მთავარი გმირის როლს უზადოდ განასახიერებს ნატო მურვანიძე. მხატვრული ფილმი 50 წლის ქალის, მანანას ცხოვრებას ასახავს, რომლის როლსაც ნატო მურვანიძე ასრულებს. დედა და დიასახლისი დილემის წინაშე დგას, მას უწევს არჩევანი გააკეთოს ოჯახურ ცხოვრებასა და მთავარ გატაცებას, წერას შორის. მანანა ცხოვრების აზრს წერაში პოულობს.

ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოების 90-ე საიუბილეო ცერემონია, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი კინომოვლენაა, 2018 წლის 4 მარტს ლოს ანჯელესში, დოლბის კინოთეატრში გაიმართება.

# ნიქოზში ანიმაციური ფილმების ფესტივალი გაიმართება

სოფელ ნიქოზში ანიმაციური ფილმების მე-7 საერთაშორისო ფესტივალი „ნიქოზი" პირველ სექტემბერს გაიხსნება და 7 სექტემბრამდე გაგრძელდება.

რიგით მე-7 ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, ცხინვალთან ახლოს, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ნიქოზში, ჩატარდება. გერმანია-საქართველოს ფესტივალები და სტუდიები გახდნენ. ფესტივალს დიდი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. სოფელი ნიქოზი ცხინვალიდან 500 მეტრში მდებარეობს. სოფლის არც ერთ მცხოვრებს საცხოვრებელი არ მიუტოვებია. ამაში წვლილი ნიქოზის ხელოვნების სკოლას, სადაც 120 ბავშვი სწავლობს, და ანიმაციურ ფესტივალს მიუძღვის.




მეგობრობის წელთან დაკავშირებით, წლევანდელი ფესტივალის ფოკუსში გერმანია იქნება.

ანიმაციური ფილმების ჩვენებასთან ერთად გაიმართება ვორქშოპები. მცირე ასაკის მიუხედავად, ფესტივალმა ანიმაციის სამყაროში დიდი პოპულარულობა მოიპოვა. ფესტივალში სხვადასხვა ქვეყნის რეჟისორ-ანიმატორები და ცნობილი ანიმაციური ფესტივალების ფილმები მონაწილეობენ.

„ნიქოზის" მეგობრები დრეზდენის, ანესის, სუზდალის, ლაიფციგის ანიმაციური ფესტივალი ყოველთვის ნიქოზელი ბავშვების შემოქმედების წარდგენით იხსნება. ნიქოზის საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალი ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის, ასევე, „ქართული ფილმი აფხაზეთის" ინიციატივით ტარდება. საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით ხორციელდება.

ფესტივალის პირველ დღეს, პირველ სექტემბერს, ფესტივალის გახსნაზე ქსნის ხეობაში გამოფენა გაიმართება. ელექტრონული ორკესტრი პი ჯეი ჰანსის ხელმძღვანელობით კი ფესტივალის დამსწრე საზოგადოებას თანამედროვე ელექტრონულ მუსიკას და ცოცხალ რემიქსს ფილმისათვის „მეტროპოლისი" შესთავაზებს.

2 სექტემბერს კატეგორიაში „ახალი ქართული ანიმაცია" კი ნაჩვენები იქნება ქართველი რეჟისორების ანიმაციური ნამუშევრები: ანა ჩუბინიძის „ჯიბის კაცი", ნათია ნიკოლაიშვილის „ლი.ლე", ვლადიმერ სულაქველიძის „ფრანი", მამუკა ტყეშელაშვილის „მზის წასვლა" და სანდრო ქათამაშვილის „ბებო".

ერთკვირიან ფესტივალზე დამსწრე საზოგადოებას საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ და შემოქმედებას გააცნობენ ანიმატორები რუსეთიდან, პოლონეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან და იტალიიდან.

ფესტივალის ფარგლებში თანამედროვე მუსიკის საღამოებიც ჩატარდება, სადაც სანდრო ჩიჯავაძე და თამარ ჟვანია დაუკრავენ. ფესტივალში მონაწილეობს გორის ქალთა კამერული გუნდიც.

თბილისიდან ნიქოზში სტუმრების გამგზავრებას ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფი უზრუნველყოფს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## სპორტი

# დიეგო კოსტა მადრიდის ატლეტიკოში დაბრუნდება



ლონდონის ჩელსის ფორვარდი დიეგო კოსტა, სავარაუდოდ, თავის ყოფილ გუნდში მადრიდის ატლეტიკოში დაბრუნდება.

ატლეტიკო კოსტას იანვარში გაიფორმებს, რადგან მანამდე კლუბს ტრანსფერების გაკეთება აკრძალული აქვს. რამდენიმე თვეს კოსტა იჯარის წესით რომელიმე კლუბში გაატარებს, შემდეგ კი ატლეტიკოს შეუერთდება.

დიეგომ ატლეტიკო 2014 წელს დატოვა და ჩელსიში რამდენიმე წარმატებული სეზონიც ჩაატარა, თუმცა კონტესთან ცუდი ურთიერთობის გამო, მას ჩელსიმ კარისკენ მიუთითა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, ხანგრძლივი პერიოდი ქ.ტყვარჩელის ხელმძღვანელი რგოლის პასუხისმგებელი მუშაკი, ახალგაზრდა თაობების აღმზრდელი, აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, კულტურის დამსახურებული მუშაკი, შრომის ვეტერანი, მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციით გამორჩეული ჭეშმარიტი პატრიოტი

**გრიგორ ბაგრატის ძე ბარამია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, განათლების სამსახური სამძიმარს ვუცხადებთ თანამშრომელს, მედიკო კვარაცხელიას, სიძის

**მიხეილ (მიშა) მეტრეველის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

ხუთშაბათი 31 აგვისტო

06.00 მუსიკა პირველზე 06.30 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი" გენიოსი ბიჭუნა" 09.00 ტ/სერ. "**გამარჯვებული ვიქტორია**" 10.00, 03.40 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "საუკუნის პორტრეტები" 13.00, 04.40 დღის მხ/ფ "**ფანჯარა ეზოს მხარეს**" (ჯ.სტიუარტი) 15.00 დოკ/ფ "ადამიანის ბუნება" 16.15 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 17.00 ტ/სერ. "**ოფისი**" 18.30 დოკ/ფ 18.50 საკალათბურთო გადაცემა 19.20 **კალათბურთი.** ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი. **საქართველო - ლიტვა.** (პირდაპირი) 21.20 საკალათბურთო გადაცემა 21.30 ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" 22.20 **კალათბურთი.** ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი. **იტალია - ისრაელი.** (პირდაპირი ისრაელიდან.) 00.15 მხ/ფ "**ადამიანი" რომელიც არ არსებობდა**" 02.05 მხ/ფ "**მასობრივი მიმზიდველობა**" (ჯ.ლემონი)

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზოვთ.**

07.00, 14.40 სერ. "**ელიფი**" 08.00, 16.00 სერ. "**ოჯახური პორტრეტი**" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.45 ქრონიკა 09.20 სერ. "**პატარძალი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 სერ. "**ღირსების სახელით**" 17.35 სერ. "**ხაფანგი**" 18.45, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 21.00 სერ. "**ძმა**" 22.30 სერ. "**ელ პრინსიპე**" 00.00 მხ/ფ "**ბიჭი – სათამაშო**" 01.55 მხ/ფ "**ურჩხულის ხმა**" 04.00 მხ/ფ "**შუამავალი**"

06.00, 18.45 სერ. "**კაცი**" 07.00, 19.45, 20.03 სერ. "**დესპოტი ქმარი**" 08.00 სერ. "**ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები**" 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 09.10 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 სერ. "**ვარსკვლავის დაბადება**" 13.55 სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**წარსულის ჩრდილი**" 16.55 სერ. "**დაკარგული წლები**" 22.00 კომედის კონცერტი - 2013 23.00, 23.30, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

GDS 08.00 ან/ფ "ავატარი 3" 09.00 სერ. "**მონკი-7**" 10.00 სერ. "**მონკი 8**" 13.00 სერ. "**ძვლები 4**" 17.00 სერ. "**სიმართლის ანატომია 2**" 19.00 სერ. "**ლურჯის ელფერი**" 21.00 მხ/ფ "**როგორ მოკლა მხდალმა რობერტ ფორდმა ჯესი ჯეიმსი**" 00.00 მხ/ფ "**პიდალგო**" 02.10 მხ/ფ "**ამერიკული ისტორია X**" 04.10 მხ/ფ "**დაქირავებული მკვლელები**" 06.15 მხ/ფ "**როდანტეს ღამეები**"

იბერია 08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.20 სერ. "**გმირები**" **საბიას დედოფალი** 09.20 მულტ/სერ. "ლეკვი ჩემს ჯიბეში" 09.50 სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" 10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.25, 22.25 ტელემარკეტი 11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20 ახალი ამბები 11.20 სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" 11.50 მოდი გავიყაროთ 12.40 ბენეფისი 15.00 სერ. "**ბანდოლერა**" 18.00 ღია სტუდია 19.55 მე რომ ვიყო 20.00 სერ. "**ფოილის ომი**" 21.30 რემისია 22.35 სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" 0.00 მხ/ფ "**ლომის გული**" 1.30 მოდი გავიყაროთ 03.00 ღია სტუდია 04.00 სერ. "**რაუ**"

06.15 ქრისტიანული ხელოვნება "მებრძოლობა და ქრისტიანული ხელოვნება" 06.25 მუს. პაუზა 06.40 პატერიკი "მაკარი დიდი" 06.45 აქტუალური თემა "ასტროლოგია" 07.25 ქართული ალბომი "ანტონ ფურცელაძის შთამომავლები" 07.50 სამყაროს შექმნა 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება - - ყარყატები და წავები" 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.20 მხ/ფ "**ნიურმბერგის პროცესი**" III სერ. 11.05 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "არჩილ ჯორჯაძე" 11.30 ეპოქის სახელები "პერტრე მელიქიშვილი" 12.10 მხ/ფ "**წარსული ზაფხული**" 13.30 ან/ფ "მეფე ლომი" 15.05 ქართ.ან/ფ 1. იყო ერთი თაგუნა 2. მგელი და კრავი 15.25 დ/ფ "გერგეთის მყინვარი" 3. 16.15 ტრაპეზი "ორაგული ყაბაყით, ალუბალი" 16.00 კონცერტი 16.55 ქრისტიანული ხელოვნება "ექსლიბრისის ხელოვნება" 17.30 ჩვ. ფონდი "მ.ლორთქიფანიძე-აფხაზეთი და აფხაზები" 18.10 ერთხელ ბავშვობაში "მზექალა შანიძე" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00 ქვიშით ნაამბობი 19.10 მხ/ფ "**გლახის ნაამბობი**" 20.40 ძილი ნებისა "კოიოტი, აბა დამაცადე" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.15 დ/ფ "თიხით მოუბარი" 22.00 ჩვენი საგანძური "ლარგვისის ოთხთავი" 22.15 სად უჩინარდებიან ჩემპიონები "სერგო კოტრიკაძე" 22.40 "კვირიაკეს" სიუჟეტი "გრიგოლ რობაქიძე" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ. მხ/ფ "**უსახელო უფლისციხელი**" 23.40 ღვთის სახლი "ტაოკლარჯეთის ეკლესიათა მოხატულობა" 00.05 დ/ფ "უინძორების სასახლე" 00.50 დ/ფ "ფესვები"

მაესტრო 08.00 - 03.00 ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) 07.15 - 02.15 სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) 07.30- 02.30 ახალი ამბები მსოფლიოო (გამეორება ყოველ ერთ საათში) 07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00 ბიზნესი 21.00 მთავარი გამოშვება

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

31 აგვისტოსთვის

აშშ დოლარი — 2.4184

ევრო — 2.9101

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1311

100 რუსული რუბლი — 4.1175

## ამინდის პროგნოზი 31 აგვისტოსთვის





## 31 აგვისტოდან




ალექსანდრე იასაღაშვილი

შავი ვარდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 30 აგვისტოდან




საოჯახო სამზარეულო

1 ტომი

ხორცეული
თევზეული
სალათები

ფასი გაზეთთან ერთად 2 ლარი და 50 თეთრი


## ლუის სუარესმა შესაძლოა არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშოს



ბარსელონას და ურუგვაის ნაკრების ფორვარდმა ლუის სუარესმა შესაძლოა არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღოს, რადგან მან მუხლის ტრავმა უფრო მალე მორიჩინა, ვიდრე ამას ექიმები ელოდნენ.

სუარესი მადრიდის რეალის წინააღმდეგ შეხვედრაში დაშავდა და მასმ სავარაუდოდ, ერთი თვე უნდა გამოეტოვებინა, მაგრამ ურუგვაელი ფორვარდი თითქმის უკვე ბოლომდე ჯანმრთელია და მზად არის თავის ნაკრებს დაეხმაროს.

ურუგვაი არგენტინის ნაკრებს საკუთარ მოედანზე 1-ელ სექტემბერს უმასპინძლებს და ეს შეხვედრა ორივე ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

## ტომას მიულერი კარლო ანჩელოტის აკრიტიკებს



მიუნხენის ბაიერნის ფორვარდმა ტომას მიულერმა განაცხადა, რომ მას ბოლომდე არ ესმის, თუ რა სურს კარლო ანჩელოტის მისგან.

მიულერმა ეს განცხადება ვერდერთან გამართული მატჩის შემდეგ გააკეთა, როდესაც ის მოედანზე მხოლოდ 73-ე წუთზე გამოვიდა.

– ვფიქრობ, ანჩელოტი ჩემს შესაძლებლობებს ბოლომდე არ იყენებს. როდესაც მატჩის ბოლოს გამოვდივარ ცვლილებაზე, უკვე მიჭირს თავის გამოჩენა და გუნდისთვის სარგებლის მოტანა, – განაცხადა ტომას მიულერმა.

ტომას მიულერისთვის შარშანდელი სეზონი არცთუ წარმატებული აღმოჩნდა, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ კარლო ანჩელოტი მას ისე აღარ ენდობა, როგორც ადრე.

## სანჩესის არსენალიდან წასვლა მის თანაგუნდელებსაც სურთ



ალექსის სანჩესს არსენალიდან წასვლა სურს და ეს ფაქტი ყველასთვის ცნობილია. მის თანაგუნდელებს ასევე უნდათ, რომ სანჩესმა არსენალი დატოვოს, რადგან მის არსენალში ყოფნა გუნდზე ცუდად მოქმედებს. არსენალის ფეხბურთელების აზრით, ეს განსაკუთრებით კარგად ლივერპულთან შეხვედრის დროს გამოჩნდა, როდესაც სანჩესმა არსენალს დასცინა. ალექსისის ყიდვა მანჩესტერ სიტის სურს, მაგრამ ეს ტრანსფერი გაჭიანურდა და მალე სატრანსფერო ფანჯარაც დაიხურება, ამიტომ, სავარაუდოდ, სანჩესი წლევანდელ სეზონსაც არსენალში გაატარებს.

სანჩესი არსენალის ღირსებას 2014 წლიდან იცავს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი



ქალიშვილი მამას ეუბნება:

– მამა, დღეს ჩემი საქმრო მოვა ჩემი ხელის სათხოვნელად.

– მერე?

– გთხოვ, მუხლებზე არ დაეცე და არ მოჰყვე ქვითინს: „ჩვენო გადამრჩენელოო!“ უბრალოდ, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიე.

●●●

მამაკაცი ქალს ეუბნება:

– სულელო! ვინ გითხრა, რომ მსუქანი ხარ? მიდი, ორი სკამი აიღე და ჩვენ მაგიდას მოუჯექი.

●●●

ორი მთვრალი ქუჩაში. ერთი გუბეში წევს, მეორე ღობეს ეყუდება და ისე ინარჩუნებს წონასწორობას. ფეხზე მდგომი მეორეს ეკითხება:

– შენ მე პატივს მცემ?

გუბეში მწოლარემ თავი წამოსწია და უპასუხა:

– ვამაყობ შენით!

●●●

მოტოციკლისტი ქუჩაში თუთიყუშს დაეჯახა. შეეცოდა. ნახა უგონოდ იყო, თუმცა მაინც სუნთქავდა. ხელში აიყვანა, სახლში მიიყვანა, გალიაში დააწვინა, წყალი დაუსხა, პატარა ჯამში ხორბლის მარცვლები ჩაუყარა. ამ დროს ტელეფონმა დარეკა და მეორე ოთახში გავიდა. თუთიყუში გონს მოვიდა, თვალი გაახილა, ირგვლივ მიმოიხედა, შუბლზე ფრთა შემოირტყა და დაიყვირა:

– აუუ, გალია, წყალი, ხორბალი... მოტოციკლისტი მოვკალი!

●●●

ქალი კაცს ეკითხება:

– ეგ რა საათი გიკეთიათ?

– ეს საათი აჩვენებს თუ რა ხდება ახლა, ამ მომენტში.

– და რას აჩვენებს ახლა ამ მომენტში, რა ხდებაო?

– რას და მხურვალე სექსით ვართ დაკავებულნი.

– კი მაგრამ, ეგ ხომ ტყუილია?

– არა, უბრალოდ, ჩემი საათი ცოტა წინაა.

●●●

კაცი სასწრაფოში რეკავს:

– სასწრაფოდ მოდით, კაცს კატოკმა გადაუარა!

– მისამართი გვითხარით.

– ჭავჭავაძის 34... 36... 38... 40...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


## სერია „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო – 100 წიგნი“ გრძელდება

10 აგვისტოდან
ტომი 50
პინოჩეტი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

17 აგვისტოდან
ტომი 51
იულიუს კეისარი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

24 აგვისტოდან
ტომი 52
ლინკოლნი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




## 22 აგვისტოდან

ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი
ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## ანხელ დი მარიას ბარსელონაში თამაში სურს




პსჟ-ს არგენტინელ ფეხბურთელს ანხელ დი მარიას ბარსელონაში თამაში სურს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მან პსჟ-ს მწვრთნელს უნაი ემერის თხოვნითაც მიმართა, რომ ის ბარსელონაში გაუშვან. ბარსელონამ ერთი კვირის წინ ანხელის შეძენის სურვილი გამოთქვა, მაგრამ პსჟ-მ მის გაყიდვაზე უარი განაცხადა. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ პარიზულმა გუნდმა პოზიცია შეცვალოს და დი მარია ბარსელონაში გაუშვას.

ანხელ დი მარია წლების მანძილზე ბარსელონას მთავარი მეტოქის მადრიდის რეალის ფეხბურთელი იყო და რეალში ის ერთ-ერთ ლიდერადაც ითვლებოდა. რეალი დი მარიამ 2014 წელს დატოვა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 2. რეგიონი კახეთში; 3. სწორი ნაწლავის ლორწოვანი გარსის ანთება; 4. უკიდურესი, გადამწყვეტი მოქმედების მომხრე ადამიანი; 7. ხვლიკის მსგავსი ცხოველი, რომელიც კანის ფერს იცვლის გარემო პირობების შესაბამისად; 8. კოსმოდრომი რუსეთში; 12. უეცრად ამოვარდნილი ძლიერი ქარი; 14. ნათურების დასამზადებლად გამოყენებული ძნელად დნობადი ლითონი; 16. ვეტერინარის ძველი სახელწოდება; 17. ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული სამკურნალო მცენარე; 19. ერთ-ერთი კონტინენტი; 20. ბებერი თხა.

**თარაზულად:** 5. ვენესუელას დედაქალაქი; 6. საეკლესიო წესით ქორწინება; 9. შაქრის წარმოების ნარჩენი, სქელი შავი სითხე; 10. მცენარის ნორჩი ტოტი; 11. პლასტიკურ და რიტმულ მოძრაობათა ხელოვნება; 13. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 15. პოპულარული მაგიდის სათამაშო; 18. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი; 21. უკიდურესი გატაცება რაიმე საქმით, იდეით; 22. ნელი, ზომიერი მუსიკალური ტემპი; 23. ევროპის ჩემპიონი ქართველი მოფარიკავე.




შეადგინა თ.გოგინაშვილმა